# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი 24 დეკემბერი 1998 №236 (771) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# კახი ასათიანმა თამაზ იმნაიშვილს გამოცდილება დაუწუნა

## ჩვენ აღარაფერს გვეკითხებით? დაემდურა სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანი ოლიმპიურ კომიტეტს

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე მოგითხრობთ მეცხრე გვერდზე



REUTERS



საქართველოს ილიმპიური მოძრაობის საჭეთმპყრობლები: სეოკ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტი თამაზ იმნაიშვილი, პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი და გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი სეოკ-ის სესიაზე

# ვისი იქნება არგენტინის საუკუნე?

არგენტინაში გაისად საუკუნის საუკეთესო სპორტსმენს დაასახელებენ. მისი ვინაობა საგანგებო ცერემონიალზე გამოცხადდება, ხოლო ხუთეული, რომლიდანაც ის ერთი უნდა აირჩიონ, ასეთია: მოკრივე კარლოს მონსონი, ავტომრბოლი ხუან მანუელ ფანხიო, ჩოგბურთელი გილერმო ვილასი, მეგოლფე რობერტო დე ვიჩენცო ფეხბურთელი დიეგო მარადონა.

დიეგო მარადონა ფოტოზე სწორედ მაშინ აღბეჭდეს, ცერემონიალზე მიწვევის დამადასტურებელი სიგელი რომ მიიღო.

## ძლივს არ გაგვიცნო მსოფლიომ?

„საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ინგლისის „ნიუკასლის" ფეხბურთელმა თემურ ქეცბაიამ მწვრთნელთან უთანხმოების გამო უარი განაცხადა ნაკრების შემადგენლობაში თამაშზე" — არა, ახალი არაფერი გვითქვამს, ყოველივე კარგად მოეხსენება „სარბიელის" მკითხველს. უბრალოდ, ეს იმფორმაცია „როიტერის" სააგენტომაც გაავრცელა. ცნობის ბოლოში ვლადიმერ გუცაევის კომენტარია — უთანხმოება ქეცბაიასთან მხოლოდ მისი სუსტი სათამაშო დონის მიზეზით მოხდა. „ნიუკასლში" მას სათადარიგოთა სკამზე სვამენ და პრაქტიკის უქონლობამ დაღი დაასვა ამ ფეხბურთელის მინდორზე მოქმედებასო.

ასე რომ, „როიტერმა" მთელს მსოფლიოს აცნობა ქეცბაია — გუცაევის კონფლიქტის შესახებ. აქ საწყენი არაფერია, ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს...



## ქართველები ჯომოლუნგმაზე მიდიან

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის საპატიო პრეზიდენტმა ზურაბ ჟვანიამ გვაცნობა, რომ მოგვარდა დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ჯომოლუნგმაზე ქართველ მთამსვლელთა პირველი ექსპედიციის დაფინანსების საქმე. ჩვენი მთამსვლელები ჯომოლუნგმაზე ასასვლელად მარტში გაემგზავრებიან ნეპალში. შეგახსენებთ, რომ ამ მწვერვალზე დღემდე მხოლოდ ერთმა ქართველმა მთამსვლელმა რომა გიუტაშვილმა შედგა ფეხი.

**ამხანაგური მატჩი**

**ისრაელი 2:0 იუგოსლავია**

1:0 იდანტალი (57), 2:0 იოსი აბუკსისი (83)

# რუმინელებმა ჩვენი ჯგუფი ამოიჩემეს

**EURO 2000**
**ჩვენი ჯგუფი**

რუმინელებმა საქართველოს ეროვნულ ნაკრებს თბილისში ამხანაგურად თამაშზე უარი რომ შემოუთვალეს, ამის შესახებ გაცნობეთ. თუმცა მათ ბუქარესტში მასპინძლობა შემოგვთავაზეს და ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელობა ამ წინადადებას უახლოეს დღეებში განიხილავს. შეგახსენებთ, რომ თუ ეს მატჩი შედგა, 10 მატჩს გაიმართება. მანამდე კი რუმინელები ჩვენი შესარჩევი ჯგუფის წევრ ალბანეთის ეროვნულ ნაკრებს შეეხმიანნენ და ბალკანელები ამხანაგურად გაჯიბრებაზე დაითანხმეს. ეს შეხვედრა 3 თებერვალს ბუქარესტში ჩატარდება.

რუმინეთს საქართველოს ნაკრების შარშანწინდელი ვალი რომ აქვს, გასაგებია, მაგრამ მეორე მეტოქედაც ჩვენი ჯგუფელი რომ აირჩია, ეს კი საკვირველია.

**წლეულს ბოლო „სარბიელი" შაბათს, 26 დეკემბერს გამოვა. დამდეგი, 1999 წლის პირველ „სარბიელს" საშობაო-საახალწლო არდადეგების მერე, 12 იანვარს მიიღებთ**

# მიხეილ ყაველაშვილი: ნაკრებში მხოლოდ ყაველაშვილობისთვის არ უნდა მეძახდნენ

*მიხეილ ყაველაშვილის საფეხბურთო კარიერა არაერთ წელიწადს ითვლის. ამ ხნის მანძილზე მიშას ჰქონია აღმავლობის ხანა, იყო ჩავარდნისა და გაურკვევლობის პერიოდიც.*

*მუდამ და ყველგან მებრძოლს ხელი არასდროს ჩაუქნევია. ყაველა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებსაც წუწუნი არ სჩვევიათ. ასეთები მუდამ საქმით ცდილობენ თავიანთი სიძლიერის დამტკიცებას.*

*...იყო „დინამო" და სიჭაბუკის წლები. იყო „ალანია" და რუსეთის პირველობა, სადაც ჩვენებურმა თავისი სახელი დატოვა.*

*იყო ქართველთათვის ავადმოსაგონარი და ავადსახსენებელი „მანჩესტერ სიტი". მიშას უილბლობაც იქიდან დაიწყო. ჩვენებური ჯერაც ინგლისელთა „საკუთრება" გახლავთ, თუმცა მხოლოდ დამდეგი წლის ზაფხულამდე.*

*ძნელი გზა გამოიარა ყაველამ. უკან მოიტოვა თითქმის ყველა უსიამოვნება და „გრასჰოპერის" ძირითადშიც მყარად მოიკიდა ფეხი. რაც ყველაზე მთავარია, მიშამ ძველებურად გოლების გატანა დაიწყო...*

*ყაველა ახლა თბილისშია. მეგობარ-ახლობლებს დანატრებულს თავისუფალი დრო თავზე მაინცდამაინც არ გადასდის, მაგრამ ჟურნალისტებისთვის უყოყმანოდ იცლის. კითხვებსაც თავაზიანად პასუხობს და...*

**— შვეიცარიის ჩემპიონატის ნახევარი გაილია. როგორ განწყობაზეა მიხეილ ყაველაშვილი. კმაყოფილია თავისი ნაღვაწით?**

— როგორ გითხრათ. არც უკმაყოფილო ვარ და არც ძალიან კმაყოფილი. ისე, ურიგო არ გამომივიდა სეზონი და აწიც ასე უნდა გაგრძელდეს. ძალიან მიხარია საქართველოში ჩამოსვლა. ბევრი მონატრებული ახლობელი ვნახე.

**— იქ როგორი სიტუაცია დატოვე, შენ რომ წამოხვედი, ფრინგერი უკვე შეცვლილი იყო?**

— ბოლო თამაში 13 დეკემბერს გვქონდა. 5 იანვრამდე დაგვითხოვეს და ახალი მწვრთნელიც იმ დღიდან შეუდგება საქმიანობას. ფრინგერმა „გრასჰოპერში" ზუსტად ერთი წელი იმუშავა, ახლა როჯერ ჰეგის დროება იწყება, რომელიც აქამდე „სენტ გალენს" წვრთნიდა.

**— ჩემპიონატში დიდი დანაკარგი არ გაქვთ. პირველი ეტაპის შედეგის განახევრებისას მხოლოდ 3 ქულა იქნება სხვაობა „სერვეტთან", ფრინგერი კი მაინც გაათავისუფლეს...**

— ჯერ კიდევ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე თურქულ „გალათასარაისთან" ორივე შეხვედრაში დამარცხებისთვის აითვალწუნეს. აი, „ფიორენტინასგან" უეფას თასის გათამაშებიდან გამოვარდნამ კი გადამწყვეტი როლი ითამაშა ფრინგერის დათხოვნაში.

**— „ტოტენჰემიდან" გაშვებული კრისტიან გროსის „გრასჰოპერში" დაბრუნებაზე არ იყო ლაპარაკი?**

— კულუარებში ითქვა ამის შესახებ, გაზეთებშიც დაწერეს, მაგრამ, ეტყობა, თავად გროსს არ ჰქონდა ციურიხში დაბრუნების სურვილი.

**— ფრინგერის პერიოდში თავდამსხმელებს შორის დიდი კონკურენცია იყო. თუმცა საბოლოოდ მაინც შენ გენდობოდა.**

— ფრინგერს ასეთი პოლიტიკა ჰქონდა, ფეხბურთელებისგან მოითხოვდა სწორედ იქ თამაშს, რასაც გუნდის ინტერესები ითხოვდა. მეც იგივეს მავალებდნენ და ვცდილობდი, მოთხოვნა მაქსიმალურად დამეკმაყოფილებინა. რა თქმა უნდა, თავდასხმაში თამაშის პრეტენზია მქონდა, ზოგჯერ მსაყვედურობდნენ, რომ ისე არ ვირჯებოდი, როგორც შემეძლო. მაშინ ვუთხარი, დამაყენეთ შეტევის ხაზში და ნაკლები ხარვეზი მექნება-მეთქი. რა თქმა უნდა, გუნდის ინტერესები მთავარია, მაგრამ მწამდა, „გრასჰოპერს" მეტ სარგებელს სწორედ თავდასხმაში მოვუტანდი. რამდენჯერაც თავდასხმაში გამამწესეს, თითქმის იმდენჯერ გოლი გავიტანე.

**— შარშანდელთან შედარებით მაინც წარუმატებელი სეზონი გქონდათ. ეს გუნდის შიდა პრობლემებმაც გამოიწვია, მაგრამ თვით ჩემპიონატის დონეზე და სხვა კლუბების შესახებ რას იტყოდი...**

— შვეიცარიის ჩემპიონატში მოთამაშე გუნდებიდან ჩვენი ქალაქის მეორე გუნდს, „ციურიხს" გამოვყოფდი. საკმაოდ კარგად თამაშობენ, ქვეყნის შიგნითაც და ევროთასებზეც ღირსეულად გამოვიდნენ (როგორც იცით, „ციურიხი" ახლახანს „რომამ" გამოთიშა უეფას თასის გათამაშებას). „რომასთან" ტოლ-სწორად თამაში კი ყველას როდი შეუძლია.

ისე, ჩემთვის, ცოტა არ იყოს, მოულოდნელიც აღმოჩნდა, რომ ისეთ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში, როგორიც შვეიცარიაა, ფეხბურთის დონე მაღალი არ არის. თითქოსდა არც არაფერი უშლით ხელს — პირობები, ბაზები, სტადიონები და მაინც შვეიცარიის ჩემპიონატს ვერ უწოდებ მოწინავეს ევროპაში. ეტყობა, ფეხბურთისადმი დამოკიდებულება არ არის სათანადო შვეიცარიაში, ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ.

**— მართალია, შვეიცარიის ჩემპიონატი, იგივე „გრასჰოპერი", საერთოდ, შვეიცარიული ფეხბურთი თავისთავად წარმოადგენს გარკვეულ ფასეულობას, მაგრამ ჩვენთვის ერთიც, მეორეც და მესამეც საინტერესოა იმდენად, რამდენადაც შენ და გიორგი ნემსაძე გამოდიხართ იქ. პრობლემები შენც საკმაოდ გქონდა, თუმცა დაძლიე. აი, გიორგის საქმე კი ვერ აეწყო. მასზე რას იტყვი?**

— გიორგის „გრასჰოპერი" სათანადო პირობებს ველარ უქმნის. იქნებ კითხვა დაგებადოთ, შენ თუ დაგაკმაყოფილეს, მასთან რა მოუვიდათო... ეს საქმე თავიდანვე აიწყა: „გრასჰოპერმა" ფაქტობრივად უფასოდ ჩაიგდო ნემსაძე ხელში და, როგორც ვფიქრობ, მისი შემდგომში სარფიანად გაყიდვაც ასევე თავიდანვე ჰქონდათ განზრახული. პრობლემები წარმოიქმნა ხელფასთან დაკავშირებით, ძვირი გვიჯდები და უნდა გაგყიდოთო. რაუი სასხვისოდ დაიგულეს, მერე აღარც თამაშებში დააყენეს ნემსაძე და როგორ ფიქრობთ, კანონზომიერი არ იყო, რომ მას ფსიქოლოგიური პრობლემებიც მოეძალა? ბოლოსდაბოლოს პროფესიონალისთვის მთავარი მაინც ფეხბურთი და სათამაშო პრაქტიკაა.

**— არადა, შენთვისაც და გიორგისთვისაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ერთ გუნდში თამაშს. თქვენ არა მარტო თანაგუნდელები, ერთმანეთის გამტანნიც იქნებოდით...**

— გეთანხმებით, მაგრამ ასე მოხდა და უკვე აღარაფრის შეცვლა შეიძლება. ნემსაძე „გრასჰოპერიდან" მიდის...

**— კარგი, კლუბზე საკმაოდ ვილაპარაკეთ. ახლა ნაკრებზეც ვთქვათ. საქართველოს ეროვნულ გუნდში რაღაც ხდება. დავარქვათ ამას გაურკვეველი სიტუაცია. ამ გაურკვევლობამ შეიძლება არც კი დააინტერესოს კაცი, ნაკრების საქმე კარგად რომ მიდიოდეს, მაგრამ ფაქტია, ჩვენს ეროვნულ გუნდს უჭირს, ქომაგის, პრესის ინტერესიც აქედანაა...**

— სანაკრებო სიტუაციაზე იმას ვიტყვი, რომ ცოტა არ იყოს, გაზვიადებულად მიმაჩნია ყველაფერი. მე ვცდილობ, პროფესიონალი ვიყო და ჩვენს ნაკრებში არსებულ სიტუაციასაც ამ თვალით შევხედო. მწვრთნელს აქვს გარკვეული უფლებები და ამ უფლებებს ვერავინ წაართმევს. მისი გადასაწყვეტია, ვინ ათამაშოს და ვინ — არა. თუ გუცაევი თვლის, რომ ამ ეტაპზე ნაკრებიდან თხუთმეტი ფეხბურთელია გასაშვები, დაე, გაუშვას, მაგრამ საბოლოოდ პასუხიც თვითონ უნდა აგოს.

მე პროფესიონალურად მსურს მივუდგე ამ საკითხს. მწვრთნელის უფლებებში ჩარევა არ არის ჩემი საქმე, ვერც მის გადაწყვეტილებებს გავაპროტესტებ. მე ფეხბურთს ვთამაშობ და ვცდილობ, მოვხვდე ნაკრებში. დანარჩენი მე არ მეხება. და ერთიც: მწვრთნელს ის უნდა მოსთხოვონ, რა გეგმაც დაუსახეს, რაც ევალება, ჯგუფური ტურნირის დაძლევა ან სხვა რამ. დანარჩენი, გუნდში რას ან როგორ შეცვლის, ეს მწვრთნელის საქმეა, მაგრამ, ვიმეორებ, ბოლოს პასუხიც მას მოეთხოვება.

**— პირველი ვინც ნაკრებში თამაში იუარა, მიხეილ ყაველაშვილი იყო. ეს ალექსანდრე ჩივაძის თავკაცობისას მოხდა.**

— ამაზე მეც მაქვს ჩემი მოსაზრება. იყო მატჩები, როცა გამოძახებულთა შორის ვიყავი, მაგრამ არ მითამაშია. ჰოდა, ავდექი და მწვრთნელს გულახდილად ველაპარაკე ამის შესახებ. მე ბატონ საშას ვუთხარი, რომ თუ ჩემი მომზადების დონე არ მიაჩნდა სასურველად, ნურც გამომიძახებდა შეკრებაზე. ჩემთვის მთავარია არა გამოძახება, არამედ ის, რომ ნაკრებისთვის ვიყო მზად და მასში ვითამაშო-მეთქი.

ჩემი მიზანია, ფეხბურთი ვითამაშო, ფორმაში ვიყო და ამიტომ გამომიძახონ ნაკრებში. არავითარი სურვილი არა მაქვს, ეროვნულ გუნდში მხოლოდ იმიტომ მომიწვიონ, რომ ყაველაშვილი ვარ.

**ვახტანგ გზირაძე**



მიხეილ ყაველაშვილი იტალიელების, მალდინისა და დი მატეოს გარემოცვაში

# კაპიტანი პირეოსისკენ აპირებს



გიორგი ნემსაძე

**როგორც** საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანმა გვითხრა, ფაქტობრივად გადაწყვეტილი ყოფილა მისი პირეოსის „ოლიმპიაკოსში" გადასვლა.

ამას წინათაც დავწერეთ, რომ ნემსაძით საბერძნეთის ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი იყო დაინტერესებული, მაგრამ, როცა მოარულ ხმას თავად ფეხბურთელი დაგიდასტურებს, თანაც გეტყვის, ტრანსფერს მხოლოდ კონტრაქტზე ხელმოწერა აკლიაო, დაგვეთანხმებით, სხვაა.

გიორგი ნემსაძესთან მის მენეჯერს, დანიელ ივან ბენეშს დაურეკავს და უთქვამს, ეგ საქმე მოგვარებულია, შეგიძლია დღესვე ჩახვიდე საბერძნეთშიო. ეროვნული გუნდის კაპიტანთან „ოლიმპიაკოსში" მოთამაშე, თბილისში დაბადებულ ბერძენს ანდრიას ნინიადისსაც დაურეკავს და მასაც იგივე უთქვამს, რაც ბენეშს — აქ ძალიან გაფასებენ, შენი თამაში მოსწონთ და გელოდებიანო. ნემსაძე ნინიადისის ზარის შემდეგ უფრო დარწმუნებულა მენეჯერის სიტყვების სიმართლეში და იანვარში მართლაც აპირებს ბერძნებთან კონტრაქტის გაფორმებას. „ზოგი მენეჯერი ხანდახან გულის დასამშვიდებლად ფეხბურთელს ეუბნება, ნუ დარდობ, ასეთი და ასეთი ვარიანტიაო, ამ დროს კი არც არაფერია. ჩემს შემთხვევაში ამას გამოვრიცხავ, ბენეშმა ნაღდი მითხრა, რაც ნინიადისმაც დამიდასტურა" — გვითხრა გიორგიმ.

როცა ნემსაძეს შვეიცარიულ „გრასჰოპერში" მწვრთნელის შეცვლაზე ვკითხეთ, ჩემს მომავალზე როლფ ფრინგერის შეცვლა არ იმოქმედებსო — ასე გვიპასუხა.

ერთი სიტყვით, „ოლიმპიაკოსი", რომელიც ბერძნულ ჩემპიონატს ლიდერობს და ჩემპიონთა თასისთვისაც აგრძელებს ბრძოლას, გიორგი ნემსაძეს ელის. ჩვენ კი კათოლიკეთა შობამდე შევეცდებით პირეოსელთა მწვრთნელს დავუკავშირდეთ და ნემსაძის ამბავი მისგან უფრო დაწვრილებით შევიტყოთ.

ანდრიას ნინიადისმა კი, რომელიც კლუბის თათბირიდან ახალგამოსული იყო, „სარბიელს" უთხრა, რომ „ოლიმპიაკოსის" უფროსობა მართლაც ყოფილა დაინტერესებული ნემსაძის შეძენით. მისი თამაში ათენშიც მოსწონებიათ, თუმცა, როგორც თათბირზე უთქვამთ, ახალი ფეხბურთელებით შევსებისგან ჯერჯერობით თავს იკავებენ.

**კობა ინასარიძე**

# სკონტოს ქართველები მოსწონს

**როგორც** ცნობილია, ლატვიურ „სკონტოში" ორი ქართველი, ეროვნული ნაკრების მცველი ლევან სილაგაძე და ალეკო რეხვიაშვილი თამაშობს. ლატვიაში ჩემპიონატი რა ხანია გასრულდა და ჩვენებურებმაც ოქროს მედლები მოიპოვეს. ახალი სეზონისთვის, რომელიც გაზაფხულზე განახლდება, „სკონტოს" მწვრთნელებმა ლატვიელთა ეროვნული გუნდის თავკაცის, სულ ახლახანს ლატვიაში №1 მწვრთნელად აღიარებული რევაზ ძოძუაშვილის შუამავლობით სამი ქართველი ფეხბურთელი — არსენალელი ლევან კორღალიძე, ვიტჯორჯიელი ზურაბ მენთეშაშვილი და ოდიშელი ლუხუმ ჯაბუა მიიწვიეს გასასინჯად. ამის შესახებ გაცნობეთ კიდეც, ისიც კი მოგახსენეთ, ლატვიელებს მენთეშაშვილი მოეწონათ და ადვილი შესაძლებელია, იქვეც დარჩეს. ახლა კი ლევან კორღალიძეზეც ვთქვათ. თავად ლევანისთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ და ამბის გასაგებად მამამისს მივმართეთ. ჰოდა, ბატონმა ოთარმაც ეს გვითხრა:

— მე მგონი, პრაქტიკულად გადაწყვეტილია ლევანის „სკონტოში" გადასვლა. ლატვიელ მწვრთნელს იგი ძალიან მოეწონა, ყველაფერი კი იანვრის ბოლოს გადაწყდება. ჯერჯერობით ერთწლიან კონტრაქტზეა ლაპარაკი. რაც შეეხება იმას, „სკონტო" ლევანის შემდეგ სხვა გუნდში თუ გაანათხოვრებს, ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. ამ შემთხვევაში იგი ისევ უკან გამობრუნდება და „არსენალში" გააგრძელებს თამაშს. რამდენადაც ვიცი, „სკონტო" იანვარში იტალიაში მიდის შეკრებაზე ახალი სეზონისთვის მოსამზადებლად და ლევანიც მიჰყავს. ჯერჯერობით მწვრთნელები მისით კმაყოფილები არიან, ლევანი ორმხრივი შეხვედრებშიც ათამაშეს, სადაც მან ორი ბურთი გაიტანა. ასე რომ, იანვარში მოსკოვში მივდივარ და ალბათ კონტრაქტის გაფორმებაც ჩემი თანდასწრებით მოხდება (მოსკოვში იმიტომ უნდა გაფორმდეს, რომ ამ დროს „სკონტო", ალბათ, დსთ-ს ჩემპიონთა თასზე მიიღებს მონაწილეობას).

**გიორგი ვაშაკიძე**

# იაფი და ხარისხიანი

**სამტრედიის** „იბერია" მეორე წრის წინ შეკრების გავლას იალტაში რომ გეგმავდა, უკვე გაუწყეთ. მაგრამ კონკრეტულად თუ როდის გაემგზავრებოდნენ იმერლები ყირიმს, მაშინ ჯერაც არ იყო დაზუსტებული. გუნდის მესვეურები მხოლოდ ვარაუდობდნენ იანვრის პირველივე დღეებიდან ყირიმში წასვლას. „იბერიის" გამგზავრების ზუსტი თარიღი რომ დაგვედგინა, გუნდის პრეზიდენტს დავუკავშირდით და ნუგზარ ნიკოლაიშვილმაც შემდეგი გვითხრა:

— იალტაში 10 იანვარს გვინდოდა გამგზავრება, მაგრამ ჩვენი ფინანსური პარტნიორების მცირედი შეფერხების გამო ყირიმს ჩასვლა ცოტათი გადაგვედო. თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რომ ორიოდ დღე ჩვენს სამზადისში ბევრს არაფერს ნიშნავს.

იალტაში ჩვენი სტუმრობის მიზანი წარსულში გამოჩენილი უკრაინელი მეკარის იურკოვსკის სახელობის ტურნირში მონაწილეობაა. ტურნირი 3-დან 13 თებერვლამდე გაიმართება და იქ 10 იანვარს ჩავალთ თუ 15 იანვარს, არა მგონია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს.

„იბერიის" პრეზიდენტის თქმით, სამტრედიელები იქვე მეორე ტურნირშიც ითამაშებენ. იგი 18 თებერვალს დაიწყება და 28-ში დამთავრდება. ისევე, როგორც პირველ შეჯიბრში, აქაც უკრაინისა და რუსეთის პირველი და მეორე ლიგის გუნდები მოიყრიან თავს.

ერთი სიტყვით, იმერლებს ნაყოფიერი შეკრება ელით და რაც მთავარია, იაფი. ყოველ შემთხვევაში, როგორც ნუგზარ ნიკოლაიშვილი ამბობს, იალტაში ცხოვრება და უკრაინული კერძებით სამჯერადი ყუათიანი კვება (ბორჩში, შჩი და...) საკმაოდ შეღავათიან ფასებში მოუხდებათ.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# არ თამაშობ? აგებ!

*ფეხბურთი, ისევე, როგორც სპორტის ნებისმიერი სახეობა, წარმოუდგენელია ქულათა დარიცხვის, ცხრილების, კოეფიციენტების თუ რეიტინგების გარეშე, ამა თუ იმ ქვეყნის თასის გათამაშებაც კი, არას ვამბობ ევროტურნირებზე — წინა სეზონთა შედეგებზე დაყრდნობით შედგენილი კლასიფიკაციის გაუთვალისწინებლად.*

*ფეხბურთში უმაღლესი ჯილდო, ამ ცხრილ-რეიტინგების მწვერვალი მსოფლიო ჩემპიონატის მოგებაა. ეს აქსიომაა და ამას კონტინენტის ჩემპიონობა თუ სხვადასხვა სინჯის თასები მოსდევს. მაგრამ როგორ უნდა განისაზღვროს სხვაობა მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილესა თუ არამონაწილეს, ანაც სხვადასხვა კონფედერაციის წევრთა შორის?*

*საამისოდ არსებობს ფიფა-კოკა კოლას რეიტინგი, რომელიც მსოფლიოს თუ კონტინენტური საფეხბურთო ფორუმების წილისყრათა ერთ-ერთი საფუძველია.*

**1997 წლის** 11 ნოემბერს საქართველოს ნაკრებმა თავის არცთუ ხანგრძლივ ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. ამ დღეს ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა პოლონეთი დაამარცხა 3:0.

მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე შესარჩევ ჯგუფში გამოსვლა მესამე ადგილზე რომ დაგვესრულებინა, პოლონეთი 4-ბურთიანი სხვაობით უნდა გვეძლია. არ გამოვიდა, მსაჯმა მატჩის მიწურულს მიხეილ ყაველაშვილი გაუყენა მანამდე გაძევებული მაიაკის გზას და ქართველთა აღმაფრენაც მალე ჩაცხრა.

არადა, ახლოს იყო 4:0. ის მატჩი არცთუ იოლი, თანამდევი ინტრიგის გამო დასავიწყარია.

მატჩი, პირველგოლიანი კაპიტან კახი ცხადაძისთვის და ბოლო ნაკრების თავკაც დავით ყიფიანისთვის.

ხალხი, როგორც ყოველთვის, მაშინაც ეჭვიანი იყო. თანაც იტალიასა და პოლონეთში, ინგლისთან სულაც შინ და გარეთ წაგებით დამწუხრებული და ოდენ აპენინელებთან თბილისური ფრეთი დაიმედებული სასურველ მოგებას ითხოვდა.

პოლონეთთან 4:0 მოგება მხოლოდ მესამე ადგილს როდი გვიბევებდა. უკვე თეორიულადაც ცხადი გახლდათ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი უჩვენოდ ჩაივლიდა. პოლონელთა ჯობნას კი საქართველოს ნაკრების ხელსაყრელი მომავალი უნდა განესაზღვრა. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მოახლოებული კენჭისყრისას მესამე კალათაში მოხვედრა უნდა გაენაღდებინა. ეს ძნელი მისახვედრი არაა, რასაც ნიშნავს: ერთი ძლიერი მეტოქით ნაკლები გვერგებოდა.

ჩვენი „სასიქადულო" ფედერაციის მეთოდებით გულგატეხილებმა ისიც იეჭვეს, იქნებ პოლონეთის 4:0 ძლევა არ აწყობდათ, რადგან მეტი ძლიერი მეტოქე ტელეტრანსლაციის უფლების გაყიდვისას მეტ ფულს იძლევაო. ერთი სიტყვით...

საქართველო მაინც მესამე კალათაში მოხვდა და მეტოქენიც ისეთი ირგუნა, უკეთესს რომ ვერ ვინატრებდით. ყოველ შემთხვევაში მაშინ ასე ფიქრობდა ყველა.

რატომ მოხდა ასე? ახსნა საკმაოდ იოლი მოსაძებნია, მაგრამ საამისოდ ცოტა გრძელი გზის მოვლა მოგვიწევს.

პირველად 1993 წლის აგვისტოში გამოქვეყნებული ფიფა-კოკა კოლას რეიტინგი ყოველთვიურად განსაზღვრავს მსოფლიოს ყველა აქტიური ეროვნული ნაკრების კლასიფიკაციას. ამჟამად რანგლისტი ფიფას 203 წევრიდან 180 ნაკრებს მოიცავს.

ეს ცხრილი დგება მხოლოდ ვაჟთა, და არა ქალთა, ჭაბუკთა ან სხვა რომელიმე ნაკრების შემდეგი მატჩების გათვალისწინებით:

მსოფლიოს და კონტინენტური ჩემპიონატის შესარჩევი და ფინალური ეტაპის მატჩები და ამხანაგური შეხვედრები.

კალკულაცია ხდება ხუთი ძირითადი კრიტერიუმით: 1. მოგება, ფრე, წაგება; 2. გოლების რაოდენობა; 3. მატჩის გამართვის ადგილი; 4. მნიშვნელობა; 5. რეგიონული ფაქტორი.

ნორმალურია, თუ ძლიერი გუნდი სუსტს ეთამაშება, ძლიერმა რომ მოიგოს. ასეთ შემთხვევაში მოგებული ცხრილის სათავეში რჩება, წაგებული — სიღრმეში. მაგრამ ეს არ იქნებოდა მათ შორის განსხვავების ზუსტი მაჩვენებელი. მით უმეტეს მაშინ, როცა ეს გუნდები ყოველთვის ერთ გათამაშებაში არ მონაწილეობენ.

მოგება ბუნებრივია, წაგებას სჯობს, მაგრამ მოგებისთვის ორი, ფრესთვის ერთი, წაგებისთვის კი არც ერთი ქულის დარიცხვა ფიფა-კოკა კოლას რეიტინგს სასაცილოდ გადააქცევდა. ამიტომ ფიფამ სხვაგვარად მოიფიქრა და რეალურთან ძლიერ მიახლოებული დიფერენციაცია დააკანონა.

## მოგება, ფრე, წაგება

ვთქვათ, უძლიერესმა უსუსტესს მოუგო, მაშინ ორივე თითო ქულას შეიმატებს, ფრედ ითამაშეს — მაჩანჩალა 2 ქულას მოიპოვებს, ძლიერი — არც არაფერს. მაგრამ თუ წყალწაღებულმა გამოიღო ხელი, ჯილდოდ სამ ქულას ირგუნებს, ლიდერი კი ერთს დაკარგავს.

ახლა მეორე ვარიანტი განვიხილოთ: როცა ერთმანეთს სიძლიერით მცირედ განსხვავებული გუნდები ხვდებიან, უფრო ძლიერი მოგებისთვის 1,9 ქულას იღებს, წაგებული — 0,1-ს. ფრეს შემთხვევაში ძლიერს 0,9 ქულა ერგება, სუსტს — 1,1. ხოლო თუ სუსტმა გაიმარჯვა, 2,4 ქულას დაისაკუთრებს, წაგებულ ძლიერს კი 0,1 დააკლდება.

არსებობს მესამე ვარიანტიც: როცა თანაბარძალოვანი გუნდები თამაშობენ. ამ შემთხვევაში მოგებული აქტივს 2 ქულას მატებს, დამარცხებული — არც ერთს. ფრე კი ორივეს თითო ქულას არგუნებს.

## გოლების რაოდენობა

რეიტინგის შედგენისას მხედველობაში მიიღება გოლების რაოდენობა და სხვაობა. ძლიერის კარში სუსტის გატანილი გოლი, ცხადია, მეტად ფასდება, მაგრამ გოლების რაგინდ სიმრავლეს მაინც არ ენიჭება მოგების ან წაგების ტოლფასი მნიშვნელობა.

## თამაშის ადგილი

სტუმრად მომგები გუნდი ჯილდოდ 0,3 ქულას ისაკუთრებს, ნეიტრალურ მინდორზე კი ეს ჯილდო არავის ერგება.

## მატჩის მნიშვნელობა

ჯილდო გუნდს მატჩის მნიშვნელობის მიხედვითაც ენიჭება. ამხანაგურ მატჩში მოპოვებული ქულა ერთზე მრავლდება, კონტინენტის ჩემპიონატის შესარჩევისა — 1,1-ზე, მისივე ფინალური ეტაპის — 1,25-ზე, ისევე, როგორც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევისა. მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მონაპოვარი კი 1,5-ზე მრავლდება.

## რეგიონული პრინციპი

ცხადია, სათვალავშია რეგიონული პრინციპიც. თუ ერთი და იგივე კონფედერაციის გუნდები თამაშობენ, ევროპელთა და სამხრეთამერიკელთა ქულები ერთზე მრავლდება, აფრიკელთა — 0,95-ზე, დანარჩენებისა კი — 0,9-ზე. ყველა სხვა შემთხვევაში, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩების ჩათვლით, ქულები უცვლელად რჩება.

თუ რომელიმე გუნდს სარეიტინგო პერიოდში ქულა არ გააჩნია, უარყოფითი შედეგის შემთხვევაში მისი „მონაგარიც" უცვლელი რჩება.

## მატჩების რაოდენობა

მეტი ობიექტურობისთვის მხედველობაში მიიღება მატჩების რაოდენობა მოცემულ პერიოდში და წინა პერიოდის მატჩების შეფასებაც.

თუ სარეიტინგო პერიოდში გუნდი 12 მატჩს ჩაატარებს, მათგან 8 საუკეთესო ირჩევა. ამ 8 მატჩის საბოლოო შედეგი მრავლდება, ისევე როგორც 12-ივეს შედეგი. ჯამი იყოფა 12-ზე და მრავლდება 8-ზე, 8 საუკეთესო შედეგის ჯამს კი 8 საშუალოსი ემატება და მერე ნახევრდება საბოლოო შედეგის მისაღებად.

ცხადია, წინა წლის შედეგებსაც ითვალისწინებს. ასევე იქცევა უეფა კოეფიციენტთა ცხრილის შედგენისას, რაც ევროტურნირებში ქვეყანათა წარმომადგენლობის განმსაზღვრელია. ორივე შემთხვევაში მცოცავი მექანიზმი მოქმედებს, ოღონდ სხვადასხვა პრინციპით. უეფა ბოლო 5 წლის მონაგარს ხელუხლებლად აჯამებს, ფიფას რეიტინგი კი ბოლო 6 წლის მონაცემებს ემყარება. ბოლო წლის შედეგს ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში, ცხადია, მთლიანად ითვალისწინებენ, ყოველ წინა წელს კი ერთი მეექვსედით მეტი აკლდება.

ამგვარად, ფიფა-კოკა კოლას რეიტინგი ყოველთვის არა მარტო ობიექტური, არამედ აქტუალურიცაა.

ახლა წერილის თავში დასმულ კითხვას დავუბრუნდეთ და მასზე პასუხის გაცემა ვცადოთ. მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე შესარჩევ ჯგუფში პოლონეთს ჩამოვრჩით (თუნდაც ბურთების სხვაობით), მაგრამ ევროპის ჩემპიონატის წილისყრისას მათზე უკეთეს, მესამე კალათაში მოვხვდით. ფიფა-კოკა კოლას რეიტინგის კრიტერიუმთა გაშიფრვით ცხადი გახდა: პოლონეთი იმაში დავჩაგრეთ, რომ ჩვენზე ძლიერთან მოგებით იმ ნოემბრის სარეკორდო 4,36 ქულა შევიმატეთ, მას კი თავისზე ბევრად სუსტთან წაგებით ბევრი დავაკარგვინეთ.

საქართველოს ნაკრებისთვის დღემდე სარეკორდოა 1997 წლის ნოემბერში განცდილი პროგრესიც — ერთბაშად 23-საფეხურიანი ნახტომი. თუმცა ესეცაა, ცხრილის მეჩხერი ფსკერიდან ამოღწევა ბევრად უფრო იოლია, ვიდრე მისი მჭიდრო შუაწელიდან სათავეებისკენ გზის გაკვლევა.

და მაინც, საქართველოს ნაკრებმა, რომელიც ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში 1995 წლიდან მოხვდა, მეასე ადგილიდან პირველ 50-ეულში მოხვედრამდე დიდი და ძნელი გზა გაიარა. გაფრთხილება და გაუმჯობესება, ამ მონაპოვარსაც უნდა.

ჩვენი ქვეყნის ფედერაციამ თუ ნაკრების თავკაცობამ ერთი რამ უნდა გაითვალისწინოს და გაითავისოს, ლიბანურ-განჯური ექსპერიმენტების განმეორება მას ისევე აზარალებს, როგორც საერთოდ უთამაშებლობა. კი ბატონო, დეკემბერში სულ არ გვითამაშია და სამი საფეხურით ზევით ავიწიეთ, მაგრამ ჩვენს ზემოურ მეზობლებს რომ არ ებედოვლათათ, ქვემოურებს კი თუნდაც ერთ მნიშვნელოვან მატჩში ემარჯვათ, საქმე სხვაგვარად გვექნებოდა.

ასე რომ, თუ გვსურს, ჩვენი ბედი ჩვენვე გამოვჭედოთ, რაც შეიძლება მეტი უნდა ვითამაშოთ. ოღონდ მეტოქეც საგანგებოდ უნდა შევარჩიოთ და შეხვედრის ადგილიც.

**ვახტანგ ბზიკაძე**



საუკეთესო შედეგს, 42-ე ადგილს საქართველოს ნაკრებმა სწორედ ვლადიმერ გუცაევის თავკაცობისას უწია

## საქართველოს ნაკრები ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში




გრაფიკში მხოლოდ ის თვეებია შეტანილი, რომლებშიც ფიფა-კოკა კოლას რეიტინგი შედგა და მხოლოდ ის ადგილები, რომლებიც საქართველოს ნაკრებს ეჭირა



იენს ლემანი

# ლემანმა კიოპკეს მიბაძა

გერმანული ფეხბურთის გასაჭირზე ამ ბოლო დროს არაერთხელ თქმულა და დაწერილა. ნაკრების მსგავსად, ვერც საზღვარგარეთ მოთამაშე გერმანელ ფეხბურთელებს მისდის საქმე კარგად. ეს განსაკუთრებით მეკარეებს ეხებათ. ამ დღეებში გერმანიის ნაკრების ორმა ყოფილმა მეკარემ გადაწყვიტა თავის კლუბთან განშორება.

ანდრეას კიოპკე მარსელის „ოლიმპიკიდან“ რომ „ნიურნბერგში“ აპირებს გადასვლას, გუშინდელ „სარბიელშიც“ გამცნეთ. ახლა კი იენს ლემანსაც განუზრახავს „მილანის“ დატოვება.

1997 წელს გელზერკირხენის „შალკემ“ უეფას თასი მოიპოვა, რაშიც უმნიშვნელოვანესი წვლილი ლემანმა შეიტანა. მისი კარგი თამაში არც „მილანის“ ხელმძღვანელობას გამოპარვია და ფეხბურთელიც წლევანდელი სეზონის წინ იტალიურ სუპერკლუბში აღმოჩნდა, მაგრამ...

„მარსელის“ თავკაც როლან კურბისისა არ იყოს, გერმანელი მეკარე „მილანის“ ახალდანიშნულმა მწვრთნელმა ალბერტო ძაკერონიმაც აითვალწუნა. ჩემპიონატის დასაწყისში ძირითად შემადგენლობაში ჩატარებული რამდენიმე მატჩის შემდეგ ლემანმა სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა, კარში კი სებასტიანო როსი ჩადგა.

ლემანმა როსის დუბლიორობა ვერ აიტანა და პრესის წარმომადგენლებს გუნდიდან წასვლის სურვილი გაუმჟღავნა. მილანელთა ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ მეკარეს გადაწყვეტილების შეცვლა სთხოვა, თუმცა არაფერი გამოუვიდა. „გალიანის ძალიან კი უნდა თამაში „მილანში“ გავაგრძელო, მაგრამ ამას ვერ ვიზამ. არ მინდა, როსის ჩრდილქვეშ მოვექცე და კარიერის დასრულებას თავადვე შევუწყო ხელი“ — განაცხადა გერმანელმა ვიცე-პრეზიდენტთან საუბრის დასასრულს.

„ძალიან ვწუხვარ, რომ იენსი განზრახვაზე ხელს არ იღებს. ძალიან გაგვიხარდება, თუ ბოლოწამს აზრს შეიცვლის და ჩვენთან დარჩება, თუმცა ამის გაკეთებას ვერ ვაიძულებთ. წასვლა თუ უნდა, პრობლემებს არ შევუქმნით“ — სინანულით აღნიშნა გალიანიმ მეკარესთან შეხვედრის შემდეგ.

მისი მილანში დატოვება თანამემამულე თანაგუნდელებმა კრისტიან ციგემ და ოლივერ ბირჰოფმაც სცადეს, მაგრამ გადაწყვეტილება ვერც მათ შეაცვლევინეს.

„რამდენიმე შეცდომა მართლაც დავუშვი, მაგრამ უშეცდომო არავინაა, სხვათა შორის, არც როსი. რაღა შორს წავიდეთ, კვირას „სამპდორიასთან“ ისიც უხეშად შეცდა, თუმცა ამით ქვეყანა არ დაქცეულა. ეტყობა, „მილანს“ აღარ ვჭირდები“ — ასეთი იყო მეკარის საბოლოო სიტყვა.

სად გააგრძელებს ლემანი კარიერას, ჯერჯერობით უცნობია, მისი გადაბირება კი ორ კლუბს სურს — დორტმუნდის „ბორუსიას“ და „ლივერპულს“.

კიოპკეს მსგავსად ლემანის საკითხიც უახლოეს დღეებში გაირკვევა.

**ვანო ოქროპირიძე**

## 1998 წლის 23 დეკემბრის ფიფა/კოკა-კოლას რეიტინგი

*ფიფა/კოკა-კოლამ ამ წლის ბოლო რეიტინგი გამოაქვეყნა, სადაც კვლავინდებურად მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი, საფრანგეთი 98-ის ფინალისტი ბრაზილიის ეროვნული გუნდი ლიდერობს. ბრაზილიელები მთელი წლის განმავლობაში პირველები იყვნენ და შესაბამისად წლის გუნდის „ტიტულიც“ დაისაკუთრეს.*

*კლასიფიკაციაში ბევრი რამ შეცვალა მსოფლიოს პირველობამ, რომლის გამარჯვებული საფრანგეთის ნაკრები შარშან ამ დროს მე-6 იყო, ახლა კი მხოლოდ ბრაზილიას ჩამორჩება. დიდი პროგრესი განიცადა ხორვატიის გუნდმა, ვინც საფრანგეთში ბრინჯაოს მედლებს დაეუფლა. შარშან ხორვატები მე-15 საფეხურზე იმყოფებოდნენ, ხოლო დღესდღეობით მე-4 ადგილზე დამკვიდრდნენ. სხვათა შორის, 1994 წლის შემდეგ ექსიუგოსლავიელები მეორედ გახდნენ „წლის ყველაზე პროგრესული გუნდის“ წოდების მფლობელები.*

*გარკვეული ცვლილებები ცხრილში ახლახან დასრულებულმა აზიის თამაშებმაც შეიტანა. მაგალითად, ტაილანდში გამართული ტურნირის გამარჯვებული ირანის ნაკრები მარტო ერთი თვის განმავლობაში 17 საფეხურით, ხოლო მესამეადგილოსანი ჩინეთი 37-ით აღზევდა. 30 ადგილით ზევით ანაცვლება კიდევ ოთხმა გუნდმა შეძლო: ტაიტი (123-ე ადგილი, 38-ით ზევით), მაკედონია (59-ე — 33-ით), ბურკინა ფასო (106-ე — 31-ით), უნგრეთი (46-ე — 31-ით).*

*რაც შეეხება საქართველოს ეროვნულ გუნდს, მან ნოემბრის მერე 3 ადგილით, შარშანდელ დეკემბერთან შედარებით კი 17 საფეხურით წინ წაიწია.*

*შენიშვნა: პირველ გრაფაში მითითებულია გუნდების ამჟამინდელი ადგილი, მეორეში — გუნდი, მესამეში — ქულების რაოდენობა 1998 წლის დეკემბრისთვის, მეოთხეში — ადგილი ამა წლის ნოემბერში, მეხუთეში — ცვლილება ნოემბრის შემდეგ, მეექვსეში — 1997 წლის დეკემბრის მაჩვენებელი, მეშვიდეში — ცვლილება გასული წლის დეკემბრის შემდეგ.*

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | ბრაზილია | 73.44 | 1 | 0 | 1 | 0 |
| 2. | საფრანგეთი | 68.86 | 2 | 0 | 6 | 4 |
| 3. | გერმანია | 66.87 | 3 | 0 | 2 | -1 |
| 4. | ხორვატია | 66.75 | 4 | 0 | 19 | 15 |
| 5. | არგენტინა | 66.22 | 5 | 0 | 17 | 12 |
| 6. | იუგოსლავია | 64.70 | 7 | 1 | 20 | 14 |
| 7. | იტალია | 63.82 | 8 | 1 | 9 | 2 |
| 8. | ჩეხეთი | 63.80 | 6 | -2 | 3 | -5 |
| 9. | ინგლისი | 63.13 | 11 | 2 | 4 | -5 |
| 10. | მექსიკა | 61.93 | 10 | 0 | 5 | -5 |
| 11. | ჰოლანდია | 61.67 | 9 | -2 | 22 | 11 |
| 12. | რუმინეთი | 60.01 | 12 | 0 | 7 | -5 |
| 13. | მაროკო | 59.58 | 13 | 0 | 15 | 2 |
| 14. | ნორვეგია | 58.99 | 14 | 0 | 13 | -1 |
| 15. | ესპანეთი | 58.63 | 15 | 0 | 11 | -4 |
| 16. | ჩილე | 57.81 | 16 | 0 | 16 | 0 |
| 17. | სამხრეთ კორეა | 57.17 | 18 | 1 | 27 | 10 |
| 18. | შვედეთი | 56.27 | 17 | -1 | 18 | 0 |
| 19. | დანია | 55.10 | 18 | -1 | 8 | -11 |
| 20. | იაპონია | 55.01 | 30 | 10 | 14 | -6 |
| 21. | ტუნისი | 54.88 | 20 | -1 | 23 | 2 |
| 22. | ავსტრია | 54.76 | 21 | -1 | 25 | 3 |
| 23. | აშშ | 54.74 | 22 | -1 | 26 | 3 |
| 24. | ქუვეითი | 54.69 | 25 | 1 | 44 | 20 |
| 25. | პარაგვაი | 54.57 | 24 | -1 | 29 | 4 |
| 26. | სამხრეთ აფრიკა | 53.64 | 28 | 2 | 31 | 5 |
| 27. | ირანი | 53.61 | 44 | 17 | 46 | 19 |
| 28. | ეგვიპტე | 53.56 | 23 | -5 | 32 | 4 |
| 29. | ზამბია | 53.31 | 26 | -3 | 21 | -8 |
| 30. | საუდის არაბეთი | 53.25 | 27 | -3 | 33 | 3 |
| 31. | პოლონეთი | 52.34 | 29 | -2 | 48 | 17 |
| 32. | სლოვაკეთი | 52.04 | 31 | -1 | 34 | 2 |
| 33. | იამაიკა | 51.94 | 33 | 0 | 39 | 6 |
| 34. | კოლუმბია | 51.64 | 32 | -2 | 10 | -24 |
| 35. | ბელგია | 51.31 | 34 | -1 | 41 | 6 |
| 36. | პორტუგალია | 50.56 | 40 | 4 | 30 | -6 |
| 37. | ჩინეთი | 49.77 | 69 | 32 | 55 | 18 |
| 38. | შოტლანდია | 49.58 | 36 | -2 | 37 | -1 |
| 39. | ავსტრალია | 49.51 | 35 | -4 | 35 | -4 |
| 40. | რუსეთი | 49.12 | 37 | -3 | 12 | -28 |
| 41. | კამერუნი | 48.73 | 39 | -2 | 53 | 12 |
| 42. | საამიროები | 48.59 | 42 | 0 | 50 | 8 |
| 43. | ისრაელი | 48.08 | 38 | -5 | 61 | 18 |
| 44. | კოტ დ'ივუარი | 48.07 | 41 | -3 | 52 | 8 |
| 45. | ტაილანდი | 47.90 | 51 | 6 | 54 | 9 |
| 46. | უნგრეთი | 47.47 | 45 | -1 | 77 | 31 |
| 47. | უკრაინა | 46.39 | 43 | -4 | 49 | 2 |
| 48. | განა | 46.27 | 48 | 0 | 57 | 9 |
| 49. | ბულგარეთი | 45.33 | 46 | -3 | 36 | -13 |
| 50. | ანგოლა | 44.61 | 50 | 0 | 58 | 8 |
| 51. | ტრინიდადი | 44.54 | 49 | -2 | 55 | 4 |
| 52. | **საქართველო** | 44.28 | 55 | 3 | 69 | 17 |
| 53. | საბერძნეთი | 43.88 | 54 | 1 | 42 | -11 |
| 54. | ლიტვა | 43.58 | 58 | 4 | 45 | -9 |
| 55. | ფინეთი | 43.42 | 52 | -3 | 60 | 5 |
| 56. | ირლანდია | 42.51 | 57 | 1 | 47 | -9 |
| 57. | თურქეთი | 42.50 | 56 | -1 | 43 | -14 |
| 58. | ომანი | 42.12 | 71 | 13 | 81 | 23 |
| 59. | მაკედონია | 41.87 | 64 | 5 | 92 | 33 |
| 60. | ყატარი | 41.48 | 77 | 17 | 70 | 10 |
| 61. | ბოლივია | 41.24 | 60 | -1 | 24 | -37 |
| 62. | ზაირი | 41.21 | 62 | 0 | 76 | 14 |
| 63. | ეკვადორი | 41.00 | 63 | 0 | 28 | -35 |
| 64. | ისლანდია | 40.81 | 59 | -5 | 72 | 8 |
| 65. | ნიგერია | 40.61 | 65 | 0 | 71 | 6 |
| 66. | უზბეკეთი | 40.47 | 107 | 41 | 79 | 13 |
| 67. | კოსტა-რიკა | 40.43 | 66 | -1 | 51 | -16 |
| 68. | ტოგო | 40.39 | 73 | 5 | 78 | 10 |
| 69. | ნამიბია | 40.08 | 68 | -1 | 86 | 17 |
| 70. | მალი | 39.99 | 53 | 17 | 80 | 10 |
| 71. | ალჟირი | 39.88 | 61 | -10 | 59 | -12 |
| 72. | პერუ | 39.74 | 70 | -2 | 38 | -34 |
| 73. | გვატემალა | 39.42 | 83 | 10 | 83 | 10 |
| 74. | ზიმბაბვე | 39.31 | 72 | -2 | 74 | 0 |
| 75. | ბურკინა ფასო | 38.99 | 75 | 0 | 106 | 31 |
| 76. | ურუგვაი | 38.81 | 47 | -29 | 40 | -36 |
| 77. | ლატვია | 38.38 | 76 | -1 | 75 | -2 |
| 78. | კვიპროსი | 38.19 | 74 | -4 | 82 | 4 |
| 79. | გვინეა | 37.87 | 67 | -12 | 65 | -14 |
| 80. | მოზამბიკი | 37.86 | 78 | -2 | 67 | -13 |
| 81. | სინგაპური | 37.23 | 79 | -2 | 103 | 22 |
| 82. | გაბონი | 35.82 | 81 | -1 | 63 | -19 |
| 83. | შვეიცარია | 35.48 | 82 | -1 | 62 | -21 |
| 84. | სირია | 35.46 | 89 | 5 | 98 | 14 |
| 85. | ლიბანი | 35.33 | 97 | 12 | 90 | 5 |
| 86. | ჩრდ. ირლანდია | 34.77 | 88 | 2 | 93 | 7 |
| 87. | ინდონეზია | 34.76 | 85 | -2 | 91 | 4 |
| 88. | სლოვენია | 34.66 | 84 | -4 | 95 | 7 |
| 89. | მალავი | 33.91 | 87 | -2 | 96 | 7 |
| 90. | ესტონეთი | 33.51 | 86 | -4 | 100 | 10 |
| 91. | ჰონდურასი | 33.36 | 95 | 4 | 73 | -18 |
| 92. | სალვადორი | 33.36 | 90 | -2 | 64 | -28 |
| 93. | კენია | 33.14 | 91 | -2 | 89 | -4 |
| 94. | ერაყი | 33.14 | 101 | 8 | 68 | -25 |
| 95. | სენეგალი | 32.44 | 80 | -15 | 85 | -10 |
| 96. | ბოსნია | 32.27 | 93 | -3 | 99 | 3 |
| 97. | უელსი | 32.08 | 92 | -5 | 102 | 5 |
| 98. | ვიეტნამი | 31.83 | 96 | -2 | 104 | 6 |
| 99. | აზერბაიჯანი | 31.08 | 104 | 5 | 123 | 24 |
| 100. | სომხეთი | 31.07 | 108 | 8 | 105 | 5 |
| 101. | კანადა | 30.57 | 94 | -7 | 66 | -35 |
| 102. | ყაზახეთი | 30.53 | 120 | 18 | 107 | 5 |
| 103. | ახალი ზელანდია | 30.15 | 100 | -3 | 120 | 17 |
| 104. | ბელარუსი | 30.01 | 99 | -5 | 110 | 6 |
| 105. | უგანდა | 29.78 | 98 | -7 | 109 | 4 |
| 106. | ალბანეთი | 29.59 | 109 | 3 | 116 | 10 |
| 107. | კუბა | 29.50 | 102 | -5 | 88 | -19 |
| 108. | ლიბერია | 28.96 | 106 | -2 | 94 | -14 |
| 109. | ჰაიტი | 28.76 | 105 | -4 | 125 | 16 |
| 110. | ინდოეთი | 27.80 | 127 | 17 | 112 | 2 |
| 111. | სიერა ლეონე | 27.55 | 103 | -8 | 84 | -27 |
| 112. | კონგო | 27.31 | 111 | -1 | 101 | -11 |
| 113. | მალაიზია | 27.20 | 110 | -3 | 87 | -26 |
| 114. | სუდანი | 27.11 | 113 | -1 | 108 | -6 |
| 115. | მიანმა | 26.54 | 112 | -3 | 113 | -2 |
| 116. | მოლდოვა | 25.44 | 118 | 2 | 131 | 15 |
| 117. | გრენადა | 25.38 | 114 | -3 | 111 | -6 |
| 118. | ტანზანია | 24.84 | 115 | -3 | 96 | -22 |
| 119. | ბაჰრეინი | 24.68 | 117 | -2 | 121 | 2 |
| 120. | ტაჯიკეთი | 24.65 | 128 | 8 | 118 | -2 |
| 121. | ბარბადოსი | 24.60 | 116 | -5 | 113 | -8 |
| 122. | თურქმენეთი | 23.51 | 146 | 24 | 134 | 12 |
| 123. | ტაიტი | 22.86 | 119 | -4 | 161 | 38 |
| 124. | ფიჯი | 22.65 | 121 | -3 | 146 | 22 |
| 125. | ფარერები | 22.59 | 122 | -3 | 117 | -8 |
| 126. | იორდანია | 22.50 | 123 | -3 | 124 | -2 |
| 127. | ბენინი | 21.50 | 125 | -2 | 137 | 10 |
| 128. | სოლომონის კ-ბი | 20.57 | 126 | -2 | 130 | 2 |
| 129. | ვენესუელა | 19.33 | 129 | 0 | 115 | -14 |
| 130. | მალტა | 18.88 | 130 | 0 | 133 | 3 |
| 131. | პანამა | 17.74 | 131 | 0 | 119 | -12 |
| 132. | სენტ კიტსი | 17.66 | 132 | 0 | 127 | -5 |
| 133. | დომინიკა | 17.57 | 133 | 0 | 139 | 6 |
| 134. | შრი ლანკა | 17.43 | 141 | 7 | 136 | 2 |
| 135. | გამბია | 16.96 | 124 | -11 | 132 | -3 |
| 136. | ჰონგ კონგი | 16.79 | 139 | 3 | 129 | -7 |
| 137. | ანტიგუა | 16.19 | 136 | -1 | 159 | 22 |
| 138. | სენტ ვინსენტი | 16.08 | 135 | -3 | 122 | -16 |
| 139. | სენტ ლუსია | 15.66 | 138 | -1 | 142 | 3 |
| 140. | ლესოტო | 15.26 | 137 | -3 | 149 | 9 |
| 141. | ბურუნდი | 15.17 | 154 | 13 | 152 | 11 |
| 142. | მავრიტანია | 14.98 | 134 | -8 | 135 | -7 |
| 143. | ლუქსემბურგი | 14.82 | 147 | 4 | 138 | -5 |
| 144. | ლაოსი | 14.78 | 143 | -1 | 143 | -1 |
| 145. | ეთიოპია | 14.36 | 140 | -5 | 126 | -19 |
| 146. | იემენი | 13.91 | 144 | -2 | 128 | -18 |
| 147. | ლიბია | 13.72 | 145 | -2 | 147 | 0 |
| 148. | მავრიკეთი | 13.25 | 149 | 1 | 151 | 3 |
| 149. | სვაზილენდი | 13.02 | 142 | -7 | 165 | 16 |
| 150. | მადაგასკარი | 12.88 | 148 | -2 | 163 | 13 |
| 151. | ყირგიზეთი | 12.81 | 152 | 1 | 140 | -11 |
| 152. | დომინიკ. რესპ. | 12.65 | 151 | -1 | 144 | -8 |
| 153. | კაიმანის კ-ბი | 12.50 | 153 | 0 | 164 | 11 |
| 154. | ნიგერი | 12.41 | 150 | -4 | 149 | -5 |
| 155. | ბოტსვანა | 11.24 | 156 | 1 | 162 | 7 |
| 156. | ჰოლ. ანტილები | 11.18 | 155 | -1 | 156 | 0 |
| 157. | ბანგლადეში | 11.09 | 157 | 0 | 141 | -16 |
| 158. | ჩრდ. კორეა | 10.71 | 181 | 23 | 166 | 8 |
| 159. | ლიხტენშტაინი | 10.57 | 159 | 0 | 158 | -1 |
| 160. | სურინამი | 10.55 | 158 | -2 | 145 | -15 |
| 161. | გვიანა | 9.63 | 160 | -1 | 168 | 7 |
| 162. | კამბოჯა | 8.54 | 165 | 3 | 170 | 8 |
| 163. | ტონგა | 8.34 | 163 | 0 | 174 | 11 |
| 164. | სამოა | 8.18 | 164 | 0 | 183 | 19 |
| 165. | გვინეა ბისაუ | 8.12 | 162 | -3 | 148 | -17 |
| 166. | მალდივეთი | 8.00 | 175 | 9 | 160 | -6 |
| 167. | კაბო ვერდე | 7.78 | 161 | -6 | 171 | 4 |
| 168. | პაკისტანი | 7.50 | 167 | -1 | 153 | -15 |
| 169. | ტაივანი | 7.46 | 168 | -1 | 154 | -15 |
| 170. | რუანდა | 7.41 | 166 | -4 | 172 | 2 |
| 171. | ანდორა | 7.09 | 170 | -1 | 185 | 14 |
| 172. | პაპუა ახ. გვინეა | 7.02 | 169 | -3 | 167 | -5 |
| 173. | კუკის კ-ბი | 6.54 | 172 | -1 | 190 | 17 |
| 174. | მაკაო | 6.53 | 173 | -1 | 157 | -17 |
| 175. | ფილიპინები | 6.48 | 171 | -4 | 175 | 0 |
| 176. | ნეპალი | 6.39 | 174 | -2 | 155 | -21 |
| 177. | ვანუატუ | 5.77 | 176 | -1 | 186 | 9 |
| 178. | ჩადი | 5.10 | 177 | -1 | 184 | 6 |
| 179. | სან მარინო | 4.85 | 180 | 1 | 173 | -6 |
| 180. | არუბა | 4.61 | 179 | -1 | 177 | -3 |
| 181. | სეიშელი | 4.55 | 178 | -3 | 181 | 0 |
| 182. | პუერტო რიკო | 3.19 | 182 | 0 | 169 | -13 |
| 183. | ბრუნეი | 3.07 | 183 | 0 | 178 | -5 |
| 185. | ბერმუდა | 2.66 | 184 | -1 | 176 | -9 |
| 186. | ბელიზი | 2.57 | 185 | -1 | 179 | -7 |
| 187. | ვირჯინიის კ-ები | 2.50 | 186 | -1 | 182 | -6 |
| 188. | ნიკარაგუა | 1.93 | 187 | -1 | 182 | -6 |
| 189. | ერითრეა | 1.00 | 189 | 0 | | |
| 190. | სომალი | 0.96 | 188 | -2 | 187 | -3 |
| 191. | ცენტრ. აფრიკა | 0.66 | 190 | -1 | 188 | -3 |
| 192. | ჯიბუტი | 0.66 | 191 | 0 | 189 | -2 |
| 193. | ამერიკის სამოა | 0.62 | 193 | 0 | | |
| 194. | სან ტომე | 0.56 | 194 | 0 | | |
| 195. | ეკვ. გვინეა | 0.48 | 192 | -3 | | |
| 196. | ანგილა | 0.00 | 195 | -2 | 190 | -7 |
| 197. | გუამი | 0.00 | 195 | -2 | 190 | -7 |

# ...და სულ სხვა რამეზე ილაპარაკა

### 15 მილიონზე რომ არაფერი ვთქვათ

საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტისა და მენეჯერის სტადიონზე მისვლა ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორიც ექიმის საავადმყოფოში ან ტაქსის მძღოლის ავტოფარეხში მიბრძანება, მაგრამ „ვიკარიჯ როუდზე“ სულ სხვა ატმოსფერო სუფევდა. პრეზიდენტი მსოფლიო ტურნედან დაბრუნდა, მენეჯერი რეანიმაციიდან და ეს მაშინ, როდესაც გუნდი პირველი დივიზიონიდან პრემიერლიგაში გადასასვლელად იბრძვის.



მენეჯერი გრემ ტეილორი, მწვრთნელი ლუთერ ბლისეტი და პრეზიდენტი ელტონ ჯონი

სარბიელის არქივიდან

სერ ელტონ ჯონსა და გრემ ტეილორს „უოტფორდის“ გულშემატკივართა არმია ოფისთან ელოდა. ამ ორი ადამიანის თითოეულ სიტყვას მათთვის საგანგებო მნიშვნელობა ჰქონდა. დღეისათვის „უოტფორდი“ 40 ქულით მეოთხე ადგილზეა და თუ სეზონის მეორე ნახევარიც ასე ყოჩაღად ჩაატარა, უთუოდ პლეი-ოფში მოხვდება. მოკლედ, „ვიკარიჯ როუდიდან“ პრემიერლიგის კარიბჭე გამოჩნდა.

მაგრამ პრეზიდენტმა სულ სხვა რალაცეებზე ილაპარაკა. მისი პირიდან ერთი ისეთი სიტყვა არ ამოსულა, ფანების გულს რომ მოეფონებოდა.

„ანაზღაურებაზე მინდა ვთქვა“ — ბრძანა ელტონ ჯონმა — „თავად გახლავართ ის კაცი, ვისაც საკმაოდ დიდ ფულს უხდიან, მაგრამ როდესაც დღევანდელი პრემიერლიგის ფეხბურთელებს და მათ ხელფასებს ვუყურებ, მეცინება. ამხელა გასამრჯელოები იმას ნიშნავს, რომ კლუბების მეპატრონეებმა არ იციან თავზესაყრელ ფულს რა უყონ. ეს კი სისულელეა. რომელი მოთამაშე ღირს 5 მილიონი გირვანქა, 15 მილიონზე რომ ალარაფერი ვთქვათ? დროა სიგიჟე შევაჩეროთ. მე რომ სცენაზე გავდივარ, სამი საათის განმავლობაში ვუკრავ იმას, რაც ფულის გადახდად ღირს. რაც შეეხებათ ფეხბურთელებს, ვეჭვობ მათი უმეტესობის თამაში ძვირად ღირდეს. როდესაც კაცი თანაგუნდელს გამართულ პასს ვერ აწვდის, ბურთის წასართმევად ისე ვერ იბრძვის მოედნიდან რომ არ გააძევონ და საკუთარ ქცევას ვერ აკონტროლებს, რატომ უნდა ითხოვდეს ვეება შემოსავალს? სულ მესმის პრემიერლიგა, პრემიერლიგა, პრემიერლიგა... პრემიერლიგის დაფუძნებას ის აზრი ჰქონდა, რომ ინგლისურ გუნდებს ევროპაში უძლიერესის სახელი მოეპოვებინათ. დღეს კი რას ვხედავთ, ჩვენი ნაქები პრემიერლიგის სულ ორი ან სამი წარმომადგენელი თუ შეინარჩუნებდა ადგილს იტალიის სერია-A-ში“.

აჩურჩულდნენ „უოტფორდის“ ფანები: ...ამან რა იცის, სულ საზღვარგარეთაა, საქმეში ვერ ერკვევა... ...ანდრე აგასისთან ჩიკაგოში, შიდსის საწინააღმდეგო წარმოდგენებში ჩოგბურთს თამაშობს...

არადა ელტონ ჯონს ვერავინ დასწამებს კლუბის მიმართ გულგრილობას. ტურნეს დროს მალიმალ რეკავდა სახლში და მოხუც დედას სთხოვდა ტელევიზორი ტელეტექსტზე გადართე, „უოტფორდმა“ ბოლო ტურში რა ქნა მითხარიო. ანდა გახსოვთ, რა დღეში იყო „უოტფორდი“ 1996 წელს, როდესაც ელტონ ჯონი თავმჯდომარედ დააბრუნეს? იგი პირველი დივიზიონის ფსკერზე, გასავარდნთა შორის საცოდავად მიჩანჩალებდა. და როგორი იყო „უოტფორდი“ 1990 წლამდე, ანუ სანამ მას ელტონი გაყიდდა? 1983 წელს ქვეყნის ვიცე ჩემპიონი გახდა (ჩემპიონი „ლივერპული“ იყო), 1984 წელს კი ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალში („ევერტონთან“ 0:2) ითამაშა.

„უოტფორდმა“ ვერ გაძლო ელტონ ჯონის გარეშე, ხოლო მან თავისი ოდინდელი მეგობარი, ინგლისის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი გრემ ტეილორი მიიყვანა გუნდში. დღეს, როგორც გითხარით, „უოტფორდი“ პრემიერლიგაში გადასვლისთვის იბრძვის.

### განა ფეხბურთია მთავარი?

ტეილორი ძალიან ცუდად რომ იყო ელტონ ჯონმა ამერიკიდან ინგლისისკენ გზაზე შეიტყო და გაბრაზდა:

„ძალიან გავბრაზდი. რამდენჯერ მითქვამს გრემისთვის შინ წადი, დაისვენე-მეთქი, მან კი ყური არ დამიგდო და საშინელი შოკიც მიიღო. ფეხბურთი დიდებული რამ არის, მაგრამ ის ყველაფერზე მთავარი ვერ იქნება. ჩემი კარიერაც არ გახლავთ ყველაფერზე მთავარი. უმთავრესი თავად ცხოვრებაა და ეს მე ძალიან კარგად ვიცი, რადგან ერთი-ორჯერ სიკვდილისთვის თვალი გამისწორებია. მაშინ კოკაინს ვყნოსავდი და გონება დავკარგე, დაგდებული მიპოვეს. გონს რომ მოვეგე ისევ კოკაინი შევისრუტე... 1990 წელს დავანებე კოკაინის ყნოსვას თავი. ძნელი იყო ექიმთა რჩევების შესრულება, მაგრამ თავს ვძლიე აგერ უკვე ხუთი წელიწადია თერაპიის კურსი ალარ დამჭირვებია. სამაგლობა იქნებოდა დარჩენილი ცხოვრება ეკლესიაში, იმის მოყოლაში რომ გამეტარებინა, როგორ ვსვამდი და ვყნოსავდი.

ამიტომაც ვცემ ტონი ადამსს უდიდეს პატივს, მან საკუთარი ცხოვრება გარდაქმნა. პოლ მერსონს თავად დავურეკე როდესაც ის ჯერ კიდევ „არსენალში“ თამაშობდა. იმედი მაქვს ჩემმა გამხნევებამ ხელი შეუწყო. აი, რაც შეეხება პოლ გესქოინს, ის სხვა საქმეა. ერთხელ მასაც დავურეკე, თანადგომა ვაგრძნობინე... საშინელებაა როდესაც ნიჭიერი კაცი ნარკოტიკს ან სასმელს აკვლევინებს თავის საგანგებო უნარს.

ჯანმრთელობას ყველა უნდა გაუფრთხილდეს. 52 წლის კაცი გახლავართ და მიჯობს წამოწოლილმა ტელევიზორს ვუცქირო ან წიგნი ვიკითხო, ვიდრე კოკაინი ვყნოსო ან ვილოთო. გიკვირთ როკ ვარსკვლავისგან ასეთი სიტყვების მოსმენა“?

### პრიმადონათა სიძულვილი

სიტყვამ პიერ ვან ჰოიდონკი და მისი ჭირვეულობა რომ მოიტანა, როკ ვარსკვლავისგან კიდევ უფრო უცნაური რამ მოისმინეს:

„გაოგნება შეიძლება. საოცრად მაღიზიანებს, როდესაც ნიჭიერი ფეხბურთელი ვიღაცას თავს აყვედრის. პრიმადონას აზროვნება ჩემთვის სრულიად გაუგებარია. „უოტფორდისთვის“ ვარსკვლავობით სნეულ ერთ ფეხბურთელსაც არ ვიყიდი. ეს ყოყოჩა ხალხი ერთი კარგად უნდა შეაქანო. მერე, 45 წლისანი რომ გახდებიან ინანებენ. რა პრობლემაა, გადი მოედანზე და მთელი გულით ითამაშე. გლენ ჰოდლი იყო ასეთი, აჰ, უჰ, ეჰ... ხუთი თამაშიდან ერთს თუ ჩაატარებდა მთელი მონდომებით“.

მერე სერ ელტონ ჯონი ადგა, ჩაუარა ქომაგებს, რომელთაც სულ სხვა რალაცის მოსმენა სურდათ და SKY TV-ს ჟურნალისტებს მიაძახა:

„ყველაფერი თქვენი ბრალია“.

როგორ იყიდა BSKyB-მ „მანჩესტერ იუნაიტედი“, აქ ალარ გავიმეორებთ.

**მიხეილ სურგულაძე**

ესპანეთის ავტონომიებმა დამოუკიდებელი სპორტული ცხოვრებისკენ პირველი ნაბიჯი გადადგეს: კატალონიის ნაკრებმა ნიგერიას უმასპინძლა, ბასკეთისამ ურუგვაის, ანდალუსიამ ლიგის უცხოელ ვარსკვლავთა გუნდს უმასპინძლა, ხოლო კანარის კუნძულებმა ლატვიას. ოთხივე შეხვედრაში ავტონომიებმა გაიმარჯვეს. მარცხენა ფოტოზე აღბეჭდილია კატალონიელთა მიერ ნიგერიელთა 5:0 ძლევის, მარჯვენაზე კი ბასკების 5:1 გამარჯვების მომენტები. ანდალუსიელებმა ვარსკვლავებს 2:0 აჯობეს, ხოლო კუნძულელებმა ლატვიელებს 1:0.





## ფეხბურთის რუკასთან



**იაპონიისა** და მთლიანად აზიის ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელი კაზუიოში მიურა შესაძლოა ხორვატიის ჩემპიონ ზაგრების „კროაციაში“ გადავიდეს. მიურა, რომელსაც იაპონიის საფეხბურთო წრეებში უფრო „კაზუდ“ იცნობენ, თავის ამჟამინდელი კლუბის „ვერდი კავასაკის“ ლიდერია და მის შემადგენლობაში ჯეი ლიგის ჩემპიონიც გამხდარა, მაგრამ 31 წლის თავდამსხმელს ბოლო ხანებში საქმე ცუდად წაუვიდა, კლუბმაც უკლო და „კაზუც“ მსოფლიოს ჩემპიონატის მიღმა დარჩა. ახალგაზრდობაში მიურა ბრაზილიაში, კერძოდ სან პაულუში წავიდა სასწავლებლად და „სანტოსის“ ძირითად შემადგენლობაშიც დაიმკვიდრა ადგილი. შემდეგ ერთი სეზონი სერია A-ს კლუბ „ჯენოაშიც“ გაატარა, მერე კი კარიერა „ვერდი კავასაკიში“ გააგრძელა. საინფორმაციო წყაროები იმასაც იუწყებიან, რომ „კროაციის“ გარდა, „კაზუს“ თავის შემადგენლობაში ხილვის სურვილი ამერიკულ „სან ხოსე ქლეშსაც“ ჰქონია. იაპონიის ეროვნულ გუნდში ჩატარებულ 86 მატჩში გამოცდილ ფორვარდს 54 გოლი აქვს გატანილი.

**ინგლისის პრემიერლიგის გუნდი ლონდონის „ტოტენჰემ ჰოთსფური“ გერმანიის ნაკრების წევრ შტეფან ფროინდთან აწარმოებს მოლაპარაკებებს. როგორც პოპულარული ლონდონური გაზეთი „ივნინგ სტანდარდი“ იუწყება, ფროინდის ამჟამინდელი კლუბი, დორტმუნდის „ბორუსია“, მზად არის სეზონის ბოლოს „ტოტენჰემს“ დაუთმოს ფეხბურთელი. მაშინ, როდესაც მათ შორის დადებული კონტრაქტის ვადა დასრულდება. ამავე გაზეთის თქმით, ინგლისური კლუბის თავკაც ჯორჯ გრემს გამოცდილი უკანდახეული ნახევარმცველის გადაბირების დიდი სურვილი ჰქონია და შეხვედრია კიდეც მას. რის შემდეგაც განაცხადა, ვიმედოვნებ, ყველაფერი სულ მალე მოგვარდება და ახალი წლის შემდეგ ფროინდი „ტოტენჰემის“ მაისურს მოირგებსო.**

**ესპანური** „ესპანიოლის“ მექსიკელი ნახევარმცველი ჟერმან ვილა, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზეც იცავდა თავის ნაკრების ღირსებას, კარიერის გაგრძელებას სამშობლოში აპირებს. ეს ინფორმაცია გაავრცელა ბარსელონური კლუბის ხელმძღვანელობამ. ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ ვილა თავის ყოფილ გუნდ „ამერიკა დე მექსიკოში“ ბრუნდება და ამიტომ „ესპანიოლთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული თანხიდან 60 მილიონი პესეტა (430 ათასი დოლარი) ესპანურ კლუბს უნდა დაუბრუნოს. 25 წლის ფეხბურთელი „ამერიკა დე მექსიკოში“ გატარებული წლების შემდეგ, საფრანგეთი 98-ზე მექსიკის ნაკრების მიერ გამართული ოთხი შეხვედრიდან სამში მონაწილეობდა და „ესპანიოლის“ სელექციონერთა ყურადღების ცენტრშიც მოექცა, მაგრამ ამ კლუბის ძირითადში ადგილის დამკვიდრება მეტად გაუჭირდა.

**გერმანიის ბუნდესლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად მებრძოლმა ფრანკფურტის „აინტრახტის“ ხელმძღვანელობამ ორი კვირის წინ თანამდებობიდან გადაყენებული ჰორსტ ერმანტრაუტის ნაცვლად მთავარი მწვრთნელის პოსტზე რეინოლდ ფანცი დანიშნა. 44 წლის ფრანცმა, რომელიც აქამდე მეორე დივიზიონის „ჰანოვერს“ წვრთნიდა, თავის ახალ კლუბთან 2000 წლამდე გააფორმა ხელშეკრულება. ბუნდესლიგის გათამაშების ბოლო ტურში „აინტრახტი“ „დუისბურგს“ დაუზავდა 0:0 და კვლავ სახიფათო ზონაში, ბოლოდან მეოთხე ადგილზე იმყოფება.**

**ბრაზილიის** ეროვნული გუნდის ყოფილი მწვრთნელი მარიო ზაგალო, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ფრანგებთან სამარცხვინო წაგება 0:3 არ აპატიეს და თანამდებობიდან გაუშვეს, შესაძლოა „პორტუგეზას“ ჩაუდგეს სათავეში. კლუბის პრესმდივნის განცხადებით, თუ „ბებერი მგელი“ ამ საქმეს ხელს მოჰკიდებს, მაშინ მასთან კონტრაქტი ახალ წლამდე გაფორმდება. უდიდესი გამოცდილების მქონე ზაგალოს, ვინც ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონია (ორჯერ როგორც მოთამაშე, ერთხელ მწვრთნელი და ერთხელ მწვრთნელის თანაშემწე), აქამდე ქალაქ სან პაულუს გუნდთან არასდროს უმუშავია, რაც შეეხება „პორტუგეზას“, მას არცთუ დიდი და მდიდარი ისტორია აქვს, მაგრამ ბოლო სამი სეზონის განმავლობაში გარკვეულ წარმატებებს მიაღწია — 1996 წელს ბრაზილიის ჩემპიონატის ფინალში გავიდა, შემდგომ ორ სეზონში კი ნახევარფინალურ ეტაპზე იასპარეზა.

**ინგლისური პრესა ირწმუნება, რომ მსაჯი პოლ ელკოკი სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს „შეფილდ უენსდეის“ იტალიელ ლეგიონერ პაოლო დი კანიოს წინააღმდეგ. შეგახსენებთ, რომ სექტემბერში ელკოკის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო დი კანიომ მსაჯს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, რისთვისაც ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ მას 11 მატჩით დისკვალიფიკაცია მიუსაჯა და ჯარიმის სახით 12 ათასი გირვანქის გადახდა მოსთხოვა. ფულადი ჯარიმის გადახდა იტალიელ ფორვარდს კლუბისთვისაც მოუწია, ოღონდ გაცილებით სოლიდურის — 78 ათასი გირვანქა (131 200 დოლარი). „ამ ინციდენტის შემდეგ გამუდმებით მაწუხებს მარცხენა ფეხის ტკივილები და უძილობა, რის გამოც სისტემატურად ვღებულობ დასაძინებელ საშუალებებს. ეს ყველაფერი კი ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის ძალიან მძიმე გადასატანია. რას და როგორ ვაპირებ მომავალში, ჯერჯერობით ვერ ვიტყვი, რადგან ამან შეიძლება საფრთხე შემიქმნას“ — აღნიშნა საგაზეთო ინტერვიუში ელკოკმა.**

**პოლონეთის** ქალაქ კრაკოვის პოლიციამ დააპატიმრა პიროვნება, რომელმაც ოქტომბერში, უეფას თასის გათამაშების შეხვედრაში, სადაც ერთმანეთის „ვისლა“ და იტალიური „პარმა“ ხვდებოდნენ, ტრიბუნიდან დანა ისროლა და იტალიის ნაკრების ნახევარმცველ დინო ბაჯოს თავში გაარტყა, რის გამოც იგი რამდენიმე წუთის განმავლობაში ექიმების გარემოცვაში მოექცა. ეს ინციდენტი შემდგომში უეფას საგანგებო კომისიამ შეისწავლა და გადაწყვიტა, „ვისლას“ ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯოს. სასჯელი მაშინ იმოქმედებს, როდესაც უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში პოლონური კლუბი ევროტურნირებზე მოხვდება. რაც შეეხება დაპატიმრებულს, ეს არის 19 წლის პაველ მიხალსკი, მეტსახელად „დათვი“. მას სავარაუდოდ ათი წლით თავისუფლების აღკვეთას მიუსჯიან. ყოველ შემთხვევაში, მისდამი წაყენებული მუხლი (სხეულის განზრახ დაზიანება), სწორედ ამ ვადით პატიმრობას ითვალისწინებს.

იყიდება ბინა საბურთალოზე შრომის სასახლესთან 1(5)

საერთო ფართობი 165 კვ.მ 3 სარდაფი, ბაღი, მუდმივი წყალი, გაზი

ფასი შეთანხმებით.
ტელეფონი: 38-70-44



როლან კურბისი

*მასზე ამბობენ, ნამდვილი იანუსიაო. ისე შეიძლება მოგხიბლოს, ბევრ რამეს აპატიებო. როლან კურბისი მარსელში დაიბადა, პოლიციელის ოჯახში. მამამისს ადამიანებთან ურთიერთობა არ უჭირდა და ეს თვისება შვილსაც მემკვიდრეობით გამოჰყვა. როცა როლანმა ფეხბურთის თამაში დაიწყო, უფროსმა კურბისმა მეგობრებს უთხრა: „არ მინდა, „მარსელში" წავიდეს, იქ ხომ მაფიაა."*

# სპეციალური აგენტი

მამის სურვილის მიუხედავად, კურბისმა მაინც მოირგო „ოლიმპიკის" მაისური, მაგრამ მანამდე იყო „აიაჩო", „მონაკო", „ტულონი". ფეხბურთელის კარიერის დასრულებისთანავე როლანმა მწვრთნელობას მიჰყო ხელი და „ტულონს" ჩაუდგა სათავეში. მალე ფინანსური მაქინაციების გამო მას ციხეში უკრეს თავი. მისთვის ეს საშინელი ტრაგედია იყო — იხსენებს დედამისი ანრიეტა — ძალიან უნდოდა, შობა ოჯახთან ერთად გაეტარებინა და დაჭრილი მხეცივით აღრიალდა, როცა მოსამართლემ დროებით გათავისუფლებაზე უარი უთხრა.

ამ დროს კურბისი ძალიან დაუახლოვდა თავის ადვოკატ ჟოზე ალეგრინს, რომელიც მასზე ამბობს: „ტულონში ერთი ფრანკით სამს აკეთებდა. პირველად რომ შევხვდი, გამაოცა მისმა მოსმენის უნარმა, ყოველ ჩემს სიტყვას იმახსოვრებდა. არასოდეს უსწავლია, მაგრამ თითქმის ყველაფერი იცის. რამდენიმე დღეში სისხლის სამართლის კოდექსი მთლიანად შეუსწავლია."

ციხეში გატარებული სამი თვის მერე კურბისი ოჯახს და თავის კომპანიონს, მონაკოელ გრაფინია დი რიმოლის დაუბრუნდა. დი რიმოლისთან მას უკვე ოცი წელი აკავშირებს და ეს ურთიერთობა მყარ სიყვარულს ეფუძნება. მალე როლანს კვლავ პოლიციასთან აქვს საქმე — გადასახადების დამალვას აბრალებენ. ამჯერად იგი დაპატიმრებას გადაურჩა, გავლენიანი გრაფინიას ხათრით მონაკოს ერთ-ერთი კაზინოს ხელმძღვანელებმა თქვეს, კურბისმა ფული ჩვენთან მოიგოო. მოგებულიდან კი გადასახადს არავინ იხდის.

ცოტა ხანში კურბისში მარსელში „საქმის გარჩევისას" მსუბუქად დაჭრეს და მანაც სწორედ ამის მერე გადაწყვიტა, მთლიანად ფეხბურთზე გადართულიყო. თუმცა ცხოვრების კარდინალურად შეცვლა ძნელია.

მას აბრალებენ, მოთამაშეებისგან ქრთამს იღებსო. თუ რამდენად მართალია ეს ვარაუდი, ძნელი სათქმელია. მაგრამ ის კი ნაღდია, რომ „ბორდოშიც" და ახლაც „მარსელში" ტრანსფერების უმეტესობას ის „ჩარხავს". საკუთარი კლუბების ფეხბურთელების გარდა, ის სხვა მოთამაშეების ბედ-იღბალსაც წყვეტს. თუმცა ამ „სხვებს" ადრე ცოტა ხნით მაინც უთამაშიათ მისი ხელმძღვანელობით.

„ბევრ ფულს კი არ ვაკეთებ, არამედ ძალიან ბევრს" — ამბობს მტრების გულის გასახეთქად მწვრთნელი და საფეხბურთო აგენტი. „მარსელში" მუშაობის დამთავრების შემდეგ ის, ალბათ, ოციოდე ფეხბურთელის მრჩეველი იქნება. კურბისი საუცხოოდ შეეწყო „ოლიმპიკის" პრეზიდენტ რობერ-ლუი დრეიფუსს. „ადიდასის" პრეზიდენტი როლანს ძალიან ხშირად უხდის მაღალ პრემიებს და მართალიცაა. აბა, ვის დაენანება რამდენიმე მილიონი ფრანკი ისეთი კაცისთვის, ვინც ფეხბურთელს 5 მილიონად გაყიდინებს და 44 მილიონად გაგაყიდინებს?

„იაგუარით" ვისეირნებ, ზედ კი წავაწერ: მაჩუქა კლუბის პრეზიდენტმა, რადგან რობერ პირესი 60 მილიონ ფრანკად ვიყიდე და „რეალს" 150 მილიონად მივყიდე. მრცხვენია, მაგრამ საჩუქარი მივიღე" — ხუმრობს „მარსელის" მწვრთნელი.

ახლა უფრო დაწვრილებით კურბისი-აგენტის რამდენიმე გარიგების შესახებ:

### იბრაიმ ბა

„ბორდომ" ბა „ლე ავრისგან" 5 მილიონ ფრანკად იყიდა 1996 წელს, მომავალ სეზონში კი „მილანს" 44 მილიონად მიჰყიდა.

„ლე ავრში" როლანის მეგობარი გი დავიდი მწვრთნიდა. ერთ დღეს კურბისმა დამირეკა. მას ჩემი „ბორდოში" წაყვანა უნდოდა. მალე მამაჩემთან ერთად ჟირონდელების საწვრთნელ ბაზაზე ჩავედი. როლანმაც მაშინვე ფიზიკური ტესტები ჩამაბარებინა და მითხრა, რომ კონტრაქტზე ხელის მოსაწერად მზად ვიყავი. როცა ვუპასუხე რომ მხოლოდ „ბორდოს" სანახავად ვეწვიე, განერვიულდა. „დასაკარგი დრო არ მაქვს, თუ მინდორზეც ასეთი ხარ, მაშინ მირჩევნია, ვინმე სხვა ავიყვანო" — ამ სიტყვებით დამშორდა. თუმცა აეროპორტშივე შემხვდა, თითქოს რაღაც საქმეზე იყო მოსული. უცებ გაზეთების ყიდვა მოინდომა და რადგან ხურდა არ ჰქონდა (სულ 500-ფრანკიანები აქვს ხოლმე), მე ვასესხე. „ბორდოში დაგიბრუნებ" — მითხრა და დამემშვიდობა. უკვე იცოდა, რომ „ბორდოში" გადასვლაზე დავთანხმდებოდი. მალე ჩემით ევროპის ძლიერი კლუბები დაინტერესდნენ და მეც კურბისს რჩევა ვკითხე გულახდილად მითხრა, რომ იტალიური ფეხბურთი საჩემო არ იყო, მაგრამ ბევრი რამის სწავლას შევძლებდი. ამ ტრანსფერისთვის მას ჩემთვის სანტიმიც არ მოუთხოვია, თუმცა მადლობის ნიშნად მისი საყვარელი მარკის საათი ვაჩუქე. ჩემი აზრით, როლან კურბისი დიდი მწვრთნელი და დიდი ადამიანია" — გაიხსენა ყოფილი დამრიგებელი „ნიუკასლის" ახალმა შენაძენმა იბრაიმ ბამ.

### კრისტოფ დიუგარი

კურბისმა დიუგარის ბედ-იღბალზეც საკმაო გავლენა იქონია. თუმცა სჯობს, თვით ფეხბურთელს მოვუსმინოთ:

„როლანი ბორდოში გავიცანი. მან მშვენიერი რჩევები მომცა, მაგრამ ჩემს „მილანში" გადასვლასთან მას საერთო არაფერი აქვს, ეს ტრანსფერი ჩემი აგენტის ლუჩიანო დ' ონოფრიოს გახერხებულია და კურბისს ამ საქმიდან სანტიმიც არ რგებია. „ბარსელონაში" წასვლამდე მისი აზრი მაინტერესებდა და მანაც მითხრა, კარგად დავფიქრებულიყავი. კატალონიის დედაქალაქიდან ხშირად ვურეკავდი და როცა გაიგო, რომ ჩემი საქმეები სულ უკან და უკან მიდიოდა, გამომიტყდა, რომ „მარსელისთვის" თავდამსხმელს ეძებდა. მეც მინდოდა საფრანგეთში დაბრუნება და ადვილად შევთანხმდით. როლანის მტრები ამტკიცებენ, რომ მაშინ მან ფული აიღო, მაგრამ ეს მტკნარი სიცრუეა. კურბისი პირდაპირი კაცია და არასოდეს გილალატებს. ძალიან კარგი, თუ ბევრ ფულს აკეთებს, ეს ხომ დანაშაული არაა."

### პეტერ ლუქსენი

საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული წევრი როლან კურბისის პროტეჟეა და თავის მწვრთნელს ძლიერ ემადლიერება:

„17 წლის ვიყავი და კურბისის მეგობრის ერიკ გუარანის ხელმძღვანელობით „კანში" ვთამაშობდი. ერიკი ჩემს თაობაზე როლანს ესაუბრა და მანაც მაშინვე დამირეკა. იმ დროს ვყოყმანობდი, „ბორდო" ამერჩია თუ „მონაკო", მაგრამ მასთან ლაპარაკის შემდეგ გადაწყვეტილების მიღება არ გამჭირვებია — „ბორდოში" გადავბარგდი. კურბისი შემპირდა, რომ ორიდან ერთ მატჩში მუდამ მათამაშებდა. არც მომატყუა. როცა „მარსელში" გადავიდა, გული დამწყდა, მაგრამ ვიცოდი, მალე თან წამიყვანდა. ასეც მოხდა. ძალიან დიდ პატივს ვცემ და თითქმის საკუთარი მამასავით მიყვარს."

*ერთ დღეს ლუქსენი რომელიმე ევროპულ გუნდში დიდ ფულად გაიყიდება და როლან კურბისი ამ ტრანსფერიდან სანტიმსაც არ აიღებს. სამაგიეროდ, „მარსელის" პრეზიდენტი მეფურ საჩუქარს მიუძღვნის, ანაც კოლოსალურ პრემიას გადაუხდის. მწვრთნელი-აგენტი იანუსის სახით „მაფიოზურ კლუბისგან" ასეთ პატივს ნამდვილად იმსახურებს...*

**გაგი გურული**

სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტული ლატარია "CROCO"

ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XIX ტური
26 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| არსენალი — ვესტ ჰემი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ბლექბერნი — ასტონ ვილა | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| ქოვენთრი — ტოტენჰემი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| ევერტონი — დერბი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| მანჩესტერი — ნოტინგემი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| მიდლსბრო — ლივერპული | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ნიუკასლი — ლიდსი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| შეფილდ უენსდეი — ლესტერი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| საუთჰემპტონი — ჩელსი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| უიმბლდონი — ჩარლტონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXV ტური
26 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბირმინგემი — შეფილდ იუნაიტედი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ბოლტონი — ბრედფორდი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ქრიუ — ბერი | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| ჰადერსფილდი — გრიმსბი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| იფსვიჩი — პორტსმუთი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,1 | 2,7 |
| ოქსფორდი — კრისტალ პალასი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ქუინზ პარკი — ნორვიჩი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| სტოკპორტი — ბარნსლი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| სვინდონი — ვულვერჰემპტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ტრანმერი — სანდერლენდი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| უოტფორდი — ბრისტოლი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ვესტ ბრომვიჩი — პორტ ვეილი | 1,6 | 3,1 | 5,3 |

შოტლანდიის ჩემპიონატი. XX ტური
26 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| დანფერმლაინი — აბერდინი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| კილმარნოკი — ჰართსი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| მოზერველი — დანდი იუნაიტედი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| რეინჯერსი — სენტ ჯონსტონი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

27 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| დანდი — სელტიკი | 5,3 | 3,1 | 1,6 |

| ჩემპიონთა თასი | | თასების თასი | | უეფას თასი | |
|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 2,5 | ლაციო | 2,0 | რომა | 3,0 |
| იუვენტუსი | 3,0 | ჩელსი | 2,0 | პარმა | 3,0 |
| მანჩესტერი | 3,0 | მალიორკა | 3,0 | მარსელი | 4,0 |
| ბაიერნი | 5,0 | ლოკომოტივი | 8,0 | ბორდო | 5,0 |
| რეალი | 6,0 | მაკაბი | 15,0 | სელტა | 5,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 10,0 | ვარტექსი | 50,0 | ატლეტიკო | 6,0 |
| დინამო | 10,0 | ვალერენგა | 50,0 | ბოლონია | 10,0 |
| ოლიმპიაკოსი | 50,0 | პანიონისი | 50,0 | ლიონი | 10,0 |

**ინგლისი**

| | |
|---|---|
| მანჩესტერი | 2,0 |
| ჩელსი | 2,0 |
| ასტონ ვილა | 3,5 |
| არსენალი | 6,0 |
| ლიდსი | 8,0 |
| ლივერპული | 8,0 |
| მიდლსბრო | 8,0 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| ინტერი | 2,0 |
| ფიორენტინა | 2,0 |
| პარმა | 4,0 |
| იუვენტუსი | 5,0 |
| მილანი | 5,0 |
| რომა | 8,0 |
| ლაციო | 8,0 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| რეალი | 1,8 |
| მალიორკა | 2,0 |
| ბარსელონა | 3,0 |
| ვალენსია | 5,0 |
| სელტა | 5,0 |
| ატლეტიკო | 5,0 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| პორტუ | 1,4 |
| ბენფიკა | 2,5 |
| სპორტინგი | 3,0 |
| ბოავიშტა | 6,0 |

**ჰოლანდია**

| | |
|---|---|
| ფეიენოორდი | 1,5 |
| აიაქსი | 2,2 |
| ვიტესი | 5,0 |
| ეინდჰოვენი | 6,0 |

**ბელგია**

| | |
|---|---|
| ბრიუგე | 1,1 |
| გენკი | 3,5 |
| სტანდარდი | 6,0 |
| ანდერლეხტი | 8,0 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| მარსელი | 1,3 |
| ბორდო | 2,5 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| ვისლა | 1,1 |
| ლეგია | 4,0 |
| ლეხი | 8,0 |
| გურნიკი | 8,0 |
| ვიძევი | 8,0 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ბაიერნი | 1,01 |
| ლევერკუზენი | 8,0 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| გალათასარაი | 1,4 |
| ფენერბაჰჩე | 2,5 |
| ბეშიქთაში | 2,5 |
| ტრაბზონი | 5,0 |

**შოტლანდია**

| | |
|---|---|
| რეინჯერსი | 1,3 |
| სელტიკი | 2,5 |
| კილმარნოკი | 6,0 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| შტურმი | 1,7 |
| რაპიდი | 2,0 |
| გრაცერი | 4,0 |
| ლინცერი | 8,0 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| სერვეტი | 1,8 |
| გრასჰოპერი | 1,8 |
| ციურიხი | 2,5 |
| ლოზანა | 4,0 |

ნებისმიერი კონკრეტული გუნდი, რომელიც სიაში მოხსენიებული არ არის — 10,0

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## ქართველები საბჭოთა ნაკრებში

# რევაზ ძოძუაშვილი




# მცველის ეტალონი



რევაზ ძოძუაშვილმა მარტო დაცვა კი არა, შეტევაც ჩინებული იცოდა

როდესაც თავდამსხმელის ავ-კარგზე მსჯელობენ, კრიტერიუმი ნათელია — კარგ ფორვარდს უნდა შეეძლოს გოლების გატანა, ან საგოლე სიტუაციების შექმნა. აი, კარგ მცველს რაც შეეხება, ასეთი ერთსულოვნება არ არის. ვთქვათ, რობერტო კარლოსი ან რონალდ კუმანი შესანიშნავ მოთამაშეებად მიმაჩნია, მაგრამ არა შესანიშნავ მცველებად. ბრწყინვალე ფეხბურთელები — ფრანც ბეკენბაუერი, ალექსანდრე ჩივაძე, ფერნანდო იერო მაინც მგონია, რომ უფრო უკანდაწეული ნახევარმცველები იყვნენ და, არიან, რომლებმაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს თავიანთ გუნდებს, მაგრამ ალბათ, მათი ნიჭი ამ ამპლუაში უფრო სრულად გამოვლინდებოდა. ხოლო ჭეშმარიტი, უმაღლესი კლასის მცველი რასაც ჰქვია, ჩვენს ფეხბურთში იყო რევაზ ძოძუაშვილი (რასაკვირველია, მურთაზ ხურცილავასთან, შოთა ხინჩიგაშვილთან და სხვებთან ერთად). ეს მოსაზრება, ვიცი, საკამათოა, მაგრამ ამით იმის თქმა მინდა, რომ მცველის ღირსება თავდამსხმელთან ორთაბრძოლაში მჟღავნდება. ამის დიდოსტატი კი ნამდვილად რეზო ძოძუაშვილი გახლდათ. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ძოძუაშვილის სამოქმედო არე მხოლოდ დაცვითი ფუნქციების შესრულებით ამოიწურებოდა. პირიქით, იგი შემტევი მცველი იყო და შესანიშნავად ერთვოდა თავდასხმაში, მაგრამ ამით არასოდეს ზიანს არ აყენებდა დაცვას და იქ, „თავის ტერიტორიებზე", ყველაფერი წესრიგში ჰქონდა.

რეზო ძოძუაშვილმა იოლად განვლო გზა საბჭოთა კავშირის ნაკრებამდე. ქუთაისელმა ჭაბუკმა სიყმაწვილეშივე მიიქცია ყურადღება. 1963 წელს 17 წლის ძოძუაშვილი უკვე თამაშობდა თბილისის „დინამოს" სათადარიგო შემადგენლობაში. შემდეგ იგი კვლავ ქუთაისის „ტორპედოს" დაუბრუნდა, 1968 წლიდან კი ისევ თბილისის „დინამოშია" და საბოლოოდაც. მან უმალ დაიმკვიდრა ადგილი ძირითად შემადგენლობაში და მეტიც, გუნდის ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ იქცა. „დინამოს" დებიუტანტი მცველი მაშინვე მოხვდა საბჭოთა კავშირის 33 საუკეთესო ფეხბურთელის სიაში და ნაკრების ხელმძღვანელთა ყურადღებაც მიიპყრო. ამის შემდეგ რეზო ძოძუაშვილი უკვე სახელგანთქმული მურთაზ ხურცილავასთან ერთად კარგა ხანს წარმოადგენდა ქართულ ფეხბურთს საბჭოთა კავშირის ნაკრებში და უმაღლესი კლასის ოსტატადაც იქცა. ძოძუაშვილი არაერთხელ მოხვედრილა სხვადასხვა ევროპული გაზეთის ან ჟურნალის მიერ გამოქვეყნებულ ევროპის სიმბოლურ ნაკრებში.

რეზო ძოძუაშვილი მართლაც ბრწყინვალე მცველი იყო. როცა იგი თამაშობდა, მის ფლანგზე დაცაში ყველაფერი წესრიგში იყო. ამასთან იგი საუკეთესოდ ერთვოდა იერიშებში და მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ავალებდნენ პერსონალურ მეურვეობას, რასაც ბრწყინვალედ ართმევდა თავს, შეტევით ოპერაციებს მაინც ყოველთვის ახერხებდა.

რეზო ძოძუაშვილის შესანიშნავი კარიერიდან ფეხბურთის გულშემატკივრებს უპირველესად მისი დუელი აგონდებათ ბრწყინვალე მარცხენა გარემარბებთან — დრაგან ჯაიჩთან და ჯორჯ ბესტთან.

ჯაიჩი იუგოსლავიის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად ითვლება. 1968 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იგი შეუდარებელი იყო და აშკარად აღემატებოდა ყველა სხვა მოთამაშეს. ამ მატჩების ხილვის საშუალება ჩვენც მოგვეცა და ორი სიტყვით მინდა გავიხსენო, რათა წარმოდგენა შეგიქმნათ, რა დონის მოთამაშე იყო იუგოსლავიელი. მაშინ ევროპის პირველობის ფინალურ ეტაპზე ოთხი გუნდი მონაწილეობდა. იუგოსლავიელები ნახევარფინალში მსოფლიო ჩემპიონებს, ინგლისელებს ხვდებოდნენ და, უნდა ითქვას, რომ ჯაიჩმა ინგლისელთა დაცვა გააპამპულავა. ნაქები დაცვა, რომელმაც მსოფლიო პირველობაზე მხოლოდ სამი გოლი გაუშვა, ჯაიჩის წინააღმდეგ უმწეოდ გამოიყურებოდა და შთაბეჭდილება იქნებოდა, რომ იგი იმდენ გოლს შექმნიდა, რომლებსაც მოისურვებდა. საბოლოოდ, იუგოსლავიელებმა გაიმარჯვეს და ფინალში მასპინძლებს, იტალიელებს შეხვდნენ. ჯაიჩის ბენეფისი აქაც გაგრძელდა. იგი მუდამ გაუვალ იტალიელთა დაცვაშიც ახერხებდა გაძრომას და პასებით ამარაგებდა პარტნიორებს, მაგრამ მათ მხოლოდ ერთი მომენტი გამოიყენეს. იტალიელები დომენგინიმ იხსნა, რომელმაც უკანასკნელ წუთებში ჯარიმიდან გაიტანა. გადათამაშებაში კი იტალიელებმა თითქმის მთლიანად ახალი შემადგენლობა გამოიყენეს და დაღლილი იუგოსლავიელები (გადათამაშება 2 დღეში შედგა) იოლად დაამარცხეს.

ეს ჩემპიონატი იმიტომ გავიხსენე, რომ სწორედ ამის შემდეგ უნდა ყოფილიყო დიდების ზენიტში მყოფი ჯაიჩის მეურვე რეზო ძოძუაშვილი. ევროპის პირველობის შთაბეჭდილება ჯერ კიდევ ისეთი ძლიერი იყო, რომ ქართველი გულშემატკივრები იმაზეც ყაბულს იყვნენ, ერთი გოლი მაინც გაიტანოს, მეტს ნუ გაატანინებსო. მაგრამ... რა ერთი გოლი, რის ერთი გოლი. ბელგრადში რეზომ პირწმინდად გამოთიშა ჯაიჩი და მიუხედავად მასპინძლების მხურვალე მხარდაჭერისა, საბჭოთა ნაკრების კარი აუღებელი დარჩა. დუელი მოსკოვშიც გაგრძელდა და თუ ბელგრადში ჯაიჩი აქა-იქ მაინც ახერხებდა გაბრწყინებას, მოსკოვში ძოძუაშვილმა საბოლოოდ დაამტკიცა, რომ იგი დიდებული მცველია და საფეხბურთო ავტორიტეტები მისთვის არ არსებობს. სხვათა შორის, ჯაიჩმა, ისე როგორც დიდ ფეხბურთელს შეშვენის, აღიარა მარცხი და ძოძუაშვილისთვის ქათინაურები არ დაუშურებია.

და კიდევ ერთი დუელი ბრიტანეთის და არამარტო ბრიტანეთის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელთან ჩრდილოირლანდიელ ჯორჯ ბესტთან. ბესტი ბრიტანელი ახალგაზრდობის და განსაკუთრებით ქალების ნამდვილი კერპი იყო. მიიღებდა თუ არა ბურთს იგი, სტადიონებზე უამრავი ახალგაზრდა ქალის ეგზალტირებული კივილი ისმოდა და ასეთ სიტუაციაში, მის მეტოქეს უძნელდებოდა სიმშვიდის შენარჩუნება. ძოძუაშვილთან არც ბესტს გამოუვიდა რამე. რეზომ ფაქტობრივად არ გვანახა ამ სახელგანთქმული ფეხბურთელის ოსტატობა — აშკარად მოუგო.

დამახასიათებელი ძოძუაშვილის თამაშისათვის: ბესტმაც საჯაროდ აღიარა რეზოს ოსტატობა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ძოძუაშვილი არასოდეს კადრულობდა ბინძურ თამაშს. მისი მეტოქე თავდამსხმელები დარწმუნებული იყვნენ, რომ მათ არც კოჭებში დარტყმა ელოდათ, არც მაისურში ხელის ჩავლება. ძოძუაშვილი პატიოსან, ვაჟკაცურ ბრძოლას მართავდა მეტოქესთან და ამიტომაც მის სახელგანთქმულ თავდამსხმელებთან ორთაბრძოლებს განსაკუთრებული ხიბლი ჰქონდა. ჯაიჩისა და ბესტის წინააღმდეგ ბრწყინვალედ ჩატარებული მატჩების შემდეგ რეზომ დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი მოიპოვა და განთქმული თავდამსხმელები ახლა უკვე თვითონ მას უფრთხოდნენ.

ძოძუაშვილმა ბევრი შესანიშნავი მატჩი ჩაატარა საერთაშორისო ასპარეზზე. 1970 წელს მექსიკის მსოფლიოს პირველობის მონაწილეც იყო. იქ საბჭოთა ნაკრები ადვილად გავიდა ჯგუფიდან. დაცვამ, სადაც ძოძუაშვილი და ხურცილავა თამაშობდნენ (კარს ანზორ კავაზაშვილი იცავდა), სამ მატჩში მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა. შემდეგ კი „ზევით", საბჭოთა საფეხბურთო ფედერაციაში არ მოეწონათ, რომ ნაკრების მწვრთნელი გავრილ კაჩალინი ასე სწყალობდა ქართველ ფეხბურთელებს (1970 წლის ნაკრებში 6 ქართველი იყო: დინამოელები — ძოძუაშვილი, ხურცილავა, ასათიანი, ნოდია, მეტრეველი და კავაზაშვილი) და უაზრო ექსპერიმენტები დაიწყეს — ურუგვაელებთან მარჯვენა მცველის პოსტი როსტოველ აფონინს მიანდეს და ამან დაღუპათ კიდეც (ერთ-ერთი შეტევისას ბურთი ხაზს იქით გადავიდა, აფონინი გაჩერდა, სახელგანთქმულმა ურუგვაელმა კუბილამ ბურთი აართვა, ჩააწოდა და ესპარაგომ ურუგვაელებს გაამარჯვებინა).

ჩინებულად ჩაატარა რეზომ 1970-1972 წლის ევროპის ჩემპიონატიც, რომელშიც საბჭოთა კავშირის ნაკრები ფინალში გავიდა, თუმცა იქ სასტიკად (0:3) დამარცხდა გერმანელთა ნაკრებთან, სადაც ბეკენბაუერი, მიულერი, ნეტცერი, ბრაიტნერი, მაიერი და სხვები ბრწყინავდნენ (ბევრის აზრით, ეს 1972 წლის ნაკრები სჯობდა გერმანიის იმ ნაკრებს, რომელმაც ორი წლის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა). თუმცა ამ წარუმატებელ მატჩშიც კი დასამახსოვრებელი იყო რეზოს თამაში — გერმანელთა ბრწყინვალე ოსტატობით დემორალიზებულ საბჭოთა ნაკრებში მხოლოდ ორი ფეხბურთელი იბრძოდა ბოლომდე. რეზო ძოძუაშვილი და... მურთაზ ხურცილავა. ამიტომაც იმ შეხვედრაში გერმანელთა კართან ორად ორი სახიფათო მომენტის შემქმნელები სწორედ ნაკრების მცველები — ძოძუაშვილი და ხურცილავა იყვნენ.

ესეც ძოძუაშვილის, როგორც ფეხბურთელის, დამახასიათებელია. იგი არასოდეს ჰყრიდა ფარ-ხმალს. სულ უიმედოდ წარმართულ მატჩშიც არ აირეოდა და ბოლომდე მობილიზებული იყო.

ძოძუაშვილმა დიდხანს ითამაშა თბილისის „დინამოშიც". თუმცა არც თუ ისე ადვილი წლები შეხვდა. იგი გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, არაერთი დასამახსოვრებელი მატჩი ჩაატარა, მაგრამ ამ შემადგენლობას წილად არ ხვდა უმაღლესი ტიტულები — საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა და თასი.

რეზომ მაშინ დაანება ფეხბურთს თავი, როცა ყალიბდებოდა ახალი, ძლიერი თბილისის „დინამო", რომელსაც თავისი ბიოგრაფიის მწვერვალისთვის, 1981 წელს თასის მფლობელთა თასისთვის უნდა მიეღწია. თუმცა სწორედ ძოძუაშვილმა და მისმა თაობამ გაუკვალა მათ გზა ევროპის საკლუბო ტურნირებში. სწორედ ისინი იყვნენ, ვინც 1969 წელს უეფას თასის გათამაშებაში მონაწილეობით დასაბამი დაუდეს „დინამოს" გამოსვლას საერთაშორისო საკლუბო ასპარეზზე.

ძოძუაშვილი ბრწყინვალე მცველი იყო და ერთ-ერთი შესანიშნავიც ქართული ფეხბურთის ისტორიაში. მან 49 მატჩი ითამაშა საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში, რაც მნიშვნელოვანი მიღწევაა (მით უმეტეს, ქართველი ფეხბურთელისთვის). რეზო ყოველთვის დარჩება მცველის ეტალონად: ბურთის ართმევის შესანიშნავი ტექნიკა, პოზიციური ალღო, სისწრაფე და, რაც მთავარია, კორექტული, ვაჟკაცური ბრძოლა მეტოქესთან, როგორც უმაღლესი კლასის ოსტატს შეშვენის.

ძოძუაშვილი ამ თვისებების ერთგული დარჩა სამწვრთნელო ასპარეზზეც. მოღვაწეობის ამ სფეროში მის წარმატებებზე ბევრი დაიწერა... რატომღაც გვგონია, რომ ძოძუაშვილის სახელს კიდევ დაუკავშირდება ქართული ფეხბურთის წარმატებები.

ილია მხეიძე



რევაზ ძოძუაშვილი თანაგუნდელებთან ერთად სათამაშოდ ემზადება

## ევროლიგის I ჯგუფური ეტაპის სტატისტიკა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **ქულა** | | | | |
| 1. პრედრაგ დანილოვიჩი | კინდერი | 8 | 156 | 19,50 |
| 2. იბრაჰიმ ქუთლუაი | ფენერბაჰჩე | 9 | 173 | 19,22 |
| 3. არიან კომაზეცი | ოლიმპიაკოსი | 8 | 151 | 18,88 |
| 4. პეტარ ნაუმოსკი | ეფესი | 10 | 187 | 18,70 |
| 5. ჰარუნ ერდენაი | ულქერი | 10 | 186 | 18,60 |
| **მოხსნა (საკუთარ ფარზე)** | | | | |
| 1. ჟან ტაბაკი | ფენერბაჰჩე | 10 | 68 | 6,80 |
| 2. გინტარას ეინიკისი | ავტოდორი | 10 | 64 | 6,40 |
| შენოლ მილი | ტდკ | 10 | 64 | 6,40 |
| 4. ჰუსეინ ბეშოქი | ეფესი | 10 | 62 | 6,20 |
| ვიქტორ ალექსანდერი | მაკაბი | 10 | 62 | 6,20 |
| **მოხსნა (მეტოქის ფარზე)** | | | | |
| 1. ჰუსეინ ბეშოქი | ეფესი | 10 | 41 | 4,10 |
| 2. ჯულიუს ნვოსუ | ავტოდორი | 5 | 19 | 3,80 |
| 3. გინტარას ეინიკისი | ავტოდორი | 10 | 35 | 3,50 |
| 4. ბაირონ ჰიუსტონი | სამარა | 7 | 24 | 3,43 |
| 5. ხორხე გარბახოსა | ტაუგრესი | 8 | 26 | 3,25 |
| **პასი** | | | | |
| 1. ჯანმარკო პოცეკო | ვარეზე | 10 | 63 | 6,30 |
| 2. ელმერ ბენეტი | ტაუგრესი | 10 | 60 | 6,00 |
| 3. პეტარ ნაუმოსკი | ეფესი | 10 | 59 | 5,90 |
| 4. ტაიუს ედნი | ჟალგირისი | 10 | 56 | 5,60 |
| 5. ევგენი პაშუტინი | ავტოდორი | 6 | 31 | 5,17 |
| **ჩაჭრა** | | | | |
| 1. მაიკლ ანდერსონი | ულქერი | 10 | 29 | 2,90 |
| 2. ივიცა იურკოვიჩი | ოლიმპია | 10 | 26 | 2,60 |
| 3. ემილიო კოვაჩიჩი | ზადარი | 10 | 25 | 2,50 |
| ზლატკო ბოლიჩი | ცრვენა ზვეზდა | 10 | 25 | 2,50 |
| 5. დევიდ ევანსი | სამარა | 10 | 24 | 2,40 |
| **საჯარიმო** | | | | |
| 1. არტურას კარნიშოვასი | ტიმსისტემი | 8 | 36/37 | 97,30 |
| 2. დამირ მულაომეროვიჩი | ტიმსისტემი | 10 | 38/40 | 95,00 |
| 3. არიან კომაზეცი | ოლიმპიაკოსი | 8 | 46/51 | 90,20 |
| 4. იგორ გრაჩოვი | სამარა | 9 | 45/50 | 90,00 |
| 5. ალბერტო ერეროსი | რეალი | 10 | 35/39 | 89,74 |
| **ორქულიანები** | | | | |
| 1. მილენკო ტოპიჩი | ცრვენა ზვეზდა | 10 | 40/61 | 65,57 |
| 2. დეიან ბოდიროგა | პანათინაიკოსი | 10 | 58/89 | 65,17 |
| 3. იბრაჰიმ ქუთლუაი | ფენერბაჰჩე | 9 | 37/57 | 64,91 |
| 4. დინო რაჯა | პანათინაიკოსი | 10 | 67/104 | 64,42 |
| 5. დრაგან ტარლაკი | ოლიმპიაკოსი | 10 | 41/64 | 64,06 |
| **სამქულიანები** | | | | |
| 1. მუსტაფა სონკო | ვილერბანი | 10 | 16/25 | 64,00 |
| 2. ვენდელ ალექსისი | ალბა | 10 | 18/29 | 62,07 |
| 3. ხოსე ლასა | რეალი | 10 | 18/32 | 56,25 |
| 4. ალბერტო ანგულო | რეალი | 10 | 14/25 | 56,00 |
| 5. არამის ნაგლიჩი | ზადარი | 10 | 22/42 | 52,38 |

# დეიან ბოდიროგა სარბიელის რჩეულია



*ევროლიგის პირველი ჯგუფური ეტაპის ხუთეული „სარბიელის" მიხედვით:*

**პეტარ ნაუმოსკი**
*ეფესი*
**დამირ მულაომეროვიჩი**
*ტიმსისტემი*
**დეიან ბოდიროგა**
*პანათინაიკოსი*
**პრედრაგ დრობნიაკი**
*ეფესი*
**დინო რაჯა**
*პანათინაიკოსი*

საუკეთესო მოთამაშე:
**დეიან ბოდიროგა**

**დეიან ბოდიროგა**

დაიბადა 1973 წლის 2 მარტს იუგოსლავიის ქალაქ ზრენიანინში
კარიერა: ზადარი (იუგოსლავია, 1990-91), სტეფანელი (იტალია, 91-96), რეალი (ესპანეთი, 96-98), პანათინაიკოსი (საბერძნეთი, 98-)
ტიტულები: მსოფლიოს ჩემპიონი (1998), ევროპის ჩემპიონი (1995, 1997), ოლიმპიადის მეორე პრიზიორი (1996), ევროპის საკლუბო თასის მფლობელი (1997), მსოფლიო ჩემპიონატის უძვირფასესი მოთამაშე (1998).

## მდგომარეობა II ჯგუფური ეტაპის წინ

| E ჯგუფი | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჟალგირისი | | 64:59 | 70:67 | 18.02 | 14.01 | 4.02 | 8 | 2 | 801:753 | 18 |
| 2 | ფენერბაჰჩე | 99:84 | | 78:71 | 14.01 | 4.02 | 18.02 | 6 | 4 | 777:756 | 16 |
| 3 | პო ორტეზი | 56:66 | 73:48 | | 4.02 | 18.02 | 14.01 | 5 | 5 | 751:731 | 15 |
| 4 | ციბონა | 21.01 | 11.02 | 7.01 | | 54:61 | 77:80 | 4 | 6 | 678:712 | 14 |
| 5 | ტდკ | 11.02 | 7.01 | 21.01 | 67:79 | | 74:59 | 3 | 7 | 646:713 | 13 |
| 6 | ცრვენა ზვეზდა | 7.01 | 21.01 | 11.02 | 66:69 | 88:60 | | 2 | 8 | 695:726 | 12 |

| F ჯგუფი | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პანათინაიკოსი | | 77:63 | 18.02 | 67:58 | 14.01 | 4.02 | 10 | 0 | 750:628 | 20 |
| 2 | ეფესი | 53:80 | | 13.01 | 81:74 | 3.02 | 18.02 | 7 | 3 | 710:702 | 17 |
| 3 | ტაუგრესი | 21.01 | 11.02 | | 7.01 | 75:72 | 80:60 | 5 | 5 | 778:777 | 15 |
| 4 | მაკაბი | 62:84 | 66:68 | 4.02 | | 18.02 | 14.01 | 4 | 6 | 690:688 | 14 |
| 5 | ვარეზე | 11.02 | 7.01 | 86:78 | 21.01 | | 95:73 | 4 | 6 | 802:811 | 14 |
| 6 | ავტოდორი | 7.01 | 21.01 | 64:81 | 11.02 | 73:70 | | 2 | 8 | 732:813 | 12 |

| G ჯგუფი | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ოლიმპიაკოსი | | 55:50 | 17.02 | 74:76 | 13.01 | 4.02 | 8 | 2 | 746:677 | 18 |
| 2 | კინდერი | 67:72 | | 14.01 | 86:65 | 4.02 | 18.02 | 7 | 3 | 676:587 | 17 |
| 3 | ტიმსისტემი | 21.01 | 11.02 | | 7.01 | 76:61 | 77:58 | 5 | 5 | 676:639 | 15 |
| 4 | ცსკა | 75:81 | 62:70 | 4.02 | | 18.02 | 14.01 | 5 | 5 | 752:739 | 15 |
| 5 | პაოკ | 10.02 | 7.01 | 68:59 | 21.01 | | 85:66 | 4 | 6 | 722:738 | 14 |
| 6 | სამარა | 7.01 | 21.01 | 59:71 | 11.02 | 84:77 | | 1 | 9 | 685:841 | 11 |

| H ჯგუფი | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ოლიმპია | | 64:54 | 76:84 | 18.02 | 14.01 | 4.02 | 7 | 3 | 702:649 | 17 |
| 2 | ვილერბანი | 77:68 | | 77:73 | 14.01 | 3.02 | 18.02 | 7 | 3 | 729:700 | 17 |
| 3 | რეალი | 67:68 | 71:70 | | 4.02 | 18.02 | 14.01 | 6 | 4 | 795:742 | 16 |
| 4 | ულქერი | 21.01 | 11.02 | 7.01 | | 62:55 | 76:65 | 4 | 6 | 675:726 | 14 |
| 5 | ზადარი | 11.02 | 6.01 | 21.01 | 73:85 | | 79:82 | 3 | 7 | 660:717 | 13 |
| 6 | ალბა | 7.01 | 20.01 | 11.02 | 87:63 | 78:85 | | 3 | 7 | 725:788 | 13 |

# შტერნი ჰანტერს და სეზონს დაემუქრა
## ლარი ბერდი გაორებულია

კალათბურთის ეროვნული ასოციაციის კომისარმა დევიდ შტერნმა გუშინ განაცხადა, რომ თუ ბილი ჰანტერი (ნბა-ს მოთამაშეთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი) მასთან დალაპარაკებას არ ისურვებს, იგი იძულებული გახდება, სერიოზულად დაფიქრდეს სეზონის გაუქმებაზე. ნბა-ს კომისარს და მოთამაშეთა ასოციაციის წარმომადგენელს, ეტყობა, ერთმანეთი გულზე არ ეხატებათ, ამან კი შესაძლოა სერიოზული გავლენა იქონიოს ნბა-ს მორიგი სეზონის ჯერ კიდევ ბუნდოვან მომავალზე. შტერნის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ მან სთხოვა ჰანტერს, შეხვედროდნენ ერთმანეთს და ზოგიერთი საკითხი მოეგვარებინათ, ეს უკანასკნელი დათქმულ დროს არ მივიდა. ძნელი სათქმელია, ამ ორ ბობოლას შორის როდის გაირბინა შავმა კატამ, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ეს კიდევ უფრო უშლის ხელს მხარეების მორიგებას.

ამ დროს, როდესაც მოქიშპე მხარეები შერიგებას და შეთანხმებას (არ) ცდილობენ, ლეგენდარული კალათბურთელი ლარი ბერდი თავის აზრს გვიზიარებს: „ყოველთვის ვეკითხები თავს, რის გაკეთებას ვაპირებ დღეს? კვლავ დავდივარ კვირაში სამი-ოთხი დღე სამსახურში, კვლავ ვუყურებთ „პეისერზის" (მისი გუნდია) თამაშების ვიდეოჩანაწერებს. ვხვდები ჩემს ასისტენტებს — დიკ ჰარპერს და რიკ ვარლაილს. მერე ერთად ვადევნებთ თვალყურს კოლეჯის კალათბურთის თამაშებს და ვაკვირდებით დრაფტში არჩეულ მოთამაშეებს."

ლარი ბერდმა, ყველა დროის ერთ-ერთმა უძლიერესმა კალათბურთელმა, როგორც ნბა-ს კლუბის „ინდიანა პეისერზის" მთავარმა მწვრთნელმა, ერთი სრული სეზონი ჩაატარა, წლის საუკეთესო მწვრთნელის ტიტულიც მოიგო და ლოკაუტიც დაიწყო: ძნელია ლარი ბერდისთვის, რომელიმე მოქიშპე მხარეს მიემხროს, რადგან იგი 13 წლის განმავლობაში მოთამაშე იყო ახლა კი კლუბ „პეისერზის" ერთ-ერთი მეპატრონეა. „ვფიქრობდი, რომ სეზონი დაახლოებით 15 დეკემბერს დაიწყებოდა, მაგრამ, სიტუაციიდან გამომდინარე, ეს ერთობ საეჭვოა. ისე, მე არც ერთ მხარეზე არ ვარ. მინდა, სეზონი დაიწყოს და რაც შეიძლება ჩქარა.

სეზონის დაწყება ბერდზე არანაკლებ უნდათ ფანებს, რომელთაც უკვე თითქმის ექვსი თვეა, არ უნახავთ ნამდვილი კალათბურთი. მათ რომ მოუსმინოთ, ორივე მხარე ტყუის: „ჩვენ გვინდა კალათბურთი, მოგვეცით კალათბურთი", ამბობენ გულშემატკივრები. ისინი ხომ მათ უფრო დააფასებენ, ვინც არა მოსალაპარაკებელ მაგიდასთან ყბედობაში, არამედ თამაშში გამოიჩენს თავს.

**ირაკლი ფირაშვილი**

# უფროსი მეგობრის ხსოვნას

აგული დადიანი გარდაიცვალა — ჩვენი უფროსი და ძვირფასი მეგობარი.

აგული დადიანი დიდი კაცი იყო, ღირსეული მოქალაქე და პროფესიონალი. გვარიშვილობაც მოსდგამდა და იშვიათი პიროვნული ხიბლიც. მასთან საუბარს არაფერი სჯობდა. ოთხმოცისა მოიყარა, მაგრამ მეხსიერება ჭაბუკისა შემორჩა.

ხშირად გვსტუმრობდა სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციაში და გატაცებით გვიყვებოდა ძველ ამბებს. მათში სპორტი და სპორტთან დაკავშირებული ეპიზოდები ჭარბობდა... საქინფორმში ხანგძლივი მუშაობის მანძილზე არაერთი საინტერესო წერილი დაუწერია თეატრზე, კინოზე, საერთოდ ხელოვნებაზე და ამ დარგის მოღვაწეებზე, მაგრამ მისი უმთავრესი საქმე სპორტული ჟურნალისტიკა იყო. ამ საქმეს თითქმის სამი ათეული წელი ემსახურა. მის სიტყვას პატივს სცემდნენ და აფასებდნენ, მის აზრს ანგარიშს უწევდნენ. სპორტში უამრავი მეგობარი ჰყავდა, ამ სამყაროში მიღებული და აღიარებული კაცი იყო.

აგული დადიანმა ცხოვრების გრძელი გზა გამოიარა, მაგრამ წლების სიმძიმემ ქედი ვერ მოახრევინა. ახალგაზრდული შემართებით ეკიდებოდა ყველა საქმეს, ისევე ინტერესდებოდა ჩვენი სპორტის ახალი ამბებით, როგორც ადრე — აქტიური ჟურნალისტური მოღვაწეობის პერიოდში. განსაკუთრებით ფეხბურთი იტაცებდა, სტადიონის ხშირი სტუმარი იყო.

ერთი თვის წინ შემოგვიარა, თურმე — უკანასკნელად. მისთვის გადანახული „სარბიელის" ბოლო ნომრები ხელუხლებელი დარჩა.

**ელგუჯა ბერიშვილი**

# სეოკ-ის ვერსიით საქართველოს 1998 წლის საუკეთესო სპორტსმენი მოკრივე კობა გოგოლაძე



*მის გარდა საუკეთესოთა ათეულში დასახელებულნი არიან (ანბანის მიხედვით):*

**გიორგი ასანიძე** (ძალოსნობა), **ხვიჩა ბიჩინაშვილი** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), **რამაზ გაზაშვილი** (კრივი), **ელდარ კურტანიძე** (თავისუფალი ჭიდაობა), **დავით პოღოსიანი** (თავისუფალი ჭიდაობა), **გიორგი რევაზიშვილი** (ძიუდო), **ნინო სალუქვაძე** (ტყვიის სროლა), **ნესტორ ხერგიანი** (ძიუდო), **რუსუდან ხოფერია** (ბატუტზე ხტომა)

*სეოკ-ის ვერსიით საქართველოს 1998 წლის საუკეთესო მწვრთნელთა სამეული (ანბანის მიხედვით) ასეთია:*

**ივანე გრიქუროვი** (ძალოსნობა), **ზურაბ გუნია** (კრივი), **ნუგზარ სხირელი** (თავისუფალი ჭიდაობა)



ჯანო ბაგრატიონს და ემზარ ზენაიშვილს საფიქრალი გასჩენიათ

# აფსუს,

## რატომ არ იყო თამაზ იმნაიშვილი რაიკომის მდივანი

**ბევრი გულისგასახეთქი რამ ითქვა გუშინ თბილისში, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში. ოღონდ ის ნათქვამი მტერს კი არ გაუხეთქავდა გულს, არამედ საქართველოს სპორტისა და სპორტსმენთა გულშემატკივრებს. მათ გულსაკლავ ამბებზე გუშინდელ „სარბიელში" საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი გვესაუბრა. მან ნათქვამი გუშინ სეოკ-ის სესიაზე თავის საანგარიშო მოხსენებაში გაიმეორა და განავრცო**

რა თქმა უნდა, ბაგრატიონმა წარმატებებზეც ისაუბრა, მგარამ მის სიტყვაში საგანგაშო ნოტები სჭარბობდა.

იგივე ნოტები სჭარბობდა სხვათა სიტყვებში თუ კამათში გამომსვლელთა ნათქვამშიც, მგარამ ყოველივეს ისე მივეჩვიეთ, ისე შევეგუეთ ათას გაჭირვებას, რომ არაჩვეულებრივს უემოციოდ და ურეაქციოდ ვილებთ.

ამიტომაც სესია მშვიდად და წყნარად მიმდინარეობდა. მშვიდად მოისმინეს „ნაგანოს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს სპორტსმენთა გამოსვლის შედეგებისა და ქვეყანაში სპორტის ზამთრის სახეობათა განვითარების შესახებ" ჩვენი ქვეყნის სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტ გოგი თოფაძის გამოსვლაც (მან ბაკურიანის მომავალზეც ძალზე საინტერესო და სასიამოვნო ცნობებიც მოგვაწოდა, რაზეც მერე მოგითხრობთ. რედ.), „სეოკ-ის სარევიზიო კომისიის მოხსენებაც" (მომხსენებელი სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამირან აბესაძე), „1999 წლის სრულიად საქართველოს სპორტული თამაშების ჩატარების შესახებ" მოხსენებაც (სეოკ-ის გენერაული მდივანი ემზარ ზენაიშვილი), ინფორმაცია სეოკ-ის წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (იგივე მომხსენებელი).

სესიამ მშვიდად მიიღო რეზოლუცია „სპორტში დოპინგის წინააღმდეგ" და ერთხმად მოიწონა თავისივე „მიმართვა საქართველოს პრეზიდენტს, ქვეყნის პარლამენტს, სპორტულ საზოგადოებრიობას".

სულ ბოლოს ჯანო ბაგრატიონმა დამსწრე საზოგადოებას აცნობა, გუშინ სეოკ-ის აღმასკომის სხდომაზე ერთხმად მივიღეთ გადაწყვეტილება სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს დელეგაციის მისიის ხელმძღვანელად თამაზ იმნაიშვილის დანიშვნის თაობაზე და ამ საქმეში თქვენს თანხმობას ველითო. დასტურის ნიშნად დარბაზში შეკრებილებმა ხელი ასწიეს და ტაშიც გაისმა. აღმასკომის გადაწყვეტილებას პრაქტიკულად ერთხმად დაუჭირეს მხარი და... ოლიმპიური სიმშვიდეც დაირღვა. საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანმა თავისებური განხეთქილების ვაშლი ჩამოაგდო, როცა სეოკ-ის აღმასკომისა და სესიის გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა.

— ჩვენ ალარაფერს გვეკითხებით? თამაზ იმნაიშვილმა სიდნეის ოლიმპიური თამაშების ლიცენზია უნდა მოიპოვოს და ავსტრალიაში დელეგაციის ხელმძღვანელად კი არა, სპორტსმენად უნდა ჩავიდეს — თქვა კახი ასათიანმა.

პასუხად იმნაიშვილმა ბრძანა, რა ხანია, თოფი ხელში არ ამიღია, არ მივარჯიშია და ასე მოუმზადებლად თუ ლიცენზიას მოვიპოვებ, მისიის ხელმძღვანელად სხვა გამონახეთ, მე კი იქ როგორც სპორტსმენი გამოვალო.

ეს განმარტება თითქოს საკმარისი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ასათიანმა იმნაიშვილს ახლა გამოცდილება დაუწუნა.

ასეთი გამოუცდელობის გამო ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე დავით ხახალეიშვილი ვერ ავწონეთ და მის გამო ოქროს მედალი დავკარგეთო.

ახლა წარმოიდგინეთ ჯანო ბაგრატიონის მდგომარეობა, რომელიც ატლანტაში ჩვენი ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელი იყო.

მაგრამ გვერდზე გადავდოთ ხახალეიშვილის ყბადაღებული, აწონვის საარაკო ამბავი, რაზეც თავის დროზე ბევრი დაიწერა, მაგრამ ნამდვილი დამნაშავე მაინც ვერ მოიძებნა და დავუბრუნდეთ „თამაზ იმნაიშვილის საქმეს".

კაცმა რომ თქვას, რა აქვს თამაზ იმნაიშვილს დასაწუნი, რადგან:

თამაზ იმნაიშვილი არის მსოფლიოს ჩემპიონი, ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორი.

თამაზ იმნაიშვილი არის ევროპის შვიდგზის ჩემპიონი.

თამაზ იმნაიშვილი არის სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი.

თამაზ იმნაიშვილი არის უდიდესი ოლიმპიური გამოცდილების სპორტსმენი, რადგან იგი მონაწილეობდა მოსკოვის, სეულის და ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე.

თამაზ იმნაიშვილი 1994 წლიდან არის საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი და ახლა პირველი ვიცე-პრეზიდენტი.

თამაზ იმნაიშვილი არის ორი უმაღლესი განათლების დიპლომის მქონე კაცი.

თამაზ იმნაიშვილი არის ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

თამაზ იმნაიშვილი ფლობს უცხო ენებს.

თამაზ იმნაიშვილი არის ღირსების ორდენის კავალერი.

თამაზ იმნაიშვილი არის სახელმწიფო სამსახურში, საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომელი და მუშაობს ერთ-ერთ ხელმძღვანელ თანამდებობაზე.

ასეა თუ ისე, მერე ამირან აბესაძემ მოითხოვა, ოლიმპიური დელეგაციის მისიის ხელმძღვანელად სეოკ-ის აღმასკომის სხდომაზე სხვა აირჩიეთო, თუმცა შესაფერისი კანდიდატურა ვერც თავად დაასახელა და ვერც კახი ასათიანმა.

-ვილაცამ იხუმრა, ეტყობა, იმნაიშვილს იმას უწუნებენ, რომ იგი... რაიკომის მდივანი არ ყოფილაო.

**ავთანდილ ჭყუიშელი**

## საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სესიის მონაწილეთა

# მიმართვა

## საქართველოს პრეზიდენტს, ქვეყნის პარლამენტს, სპორტულ საზოგადოებრიობას

სეოკ-ის სესია, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელები, მწვრთნელები, მოქმედი და ვეტერანი სპორტსმენები, სპორტის მუშაკები, ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლები, ჟურნალისტები, აუცილებლად მიიჩნევს კიდევ ერთხელ მიიპყროს საქართველოს პრეზიდენტის, ქვეყნის პარლამენტის, აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელთა, სპორტული საზოგადოებრიობის, გულშემატკივრების, ქვეყნის მოქალაქეების ყურადღება საქართველოს სპორტში შექმნილ კატასტროფულ მდგომარეობაზე. ფაქტობრივად საფრთხის წინაშეა არა თუ ქვეყნის სპორტსმენთა წარმატება, არამედ მონაწილეობაც კი ზაფხულის XXVII ოლიმპიურ თამაშებზე.

ობიექტური მიზეზების გამო, კარს მომდგარი ოლიმპიური თამაშებისათვის მზადებისა და თამაშებში მონაწილეობის ფინანსური უზრუნველყოფა თავის თავზე უნდა აიღოს მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფომ, რადგანაც ქვეყანაში ამ მისიის თუნდაც, ნაწილობრივ შესასრულებლად არც სპონსორთა ინსტიტუტია ჩამოყალიბებული და არც სპორტული ბიზნესია განვითარებული.

თუ ოლიმპიურ თამაშებამდე დარჩენილი წელიწადისა და ცხრა თვის მანძილზე კარდინალურად არ შეიცვალა სპორტის იმ ოლიმპიურ სახეობათა დაფინანსებისადმი მიდგომა, რომელთა წარმომადგენლებს თამაშებში მონაწილეობის რეალური შანსი აქვთ (დაახლოებით 35-40 სპორტსმენი, სპორტის 12-13 სახეობა), 2000 წელს სიდნეიში სპორტსმენთა მიერ ნაჩვენები შედეგები იქნება სავალალო და ქართული ოლიმპიური ტრადიციებისთვის სრულიად შეუფერებელი და მიუღებელი.

ამბობენ ქვეყანას უჭირსო. ქვეყანას კვლავაც რამდენიმე წელი გაუჭირდება. ამ მხრივ მსოფლიოში საქართველო არც პირველია და არც უკანასკნელი. ბევრგან იყო და არის ომები, იყო და არის მძიმე სოციალური პრობლემები, ეკონომიკური და ფინანსური კრიზისები, მაგრამ სპორტი და ოლიმპიზმი არ მომკვდარა. სპორტი, მისთვის აუცილებელ ინექციას ყოველთვის იღებდა და ყველგან, მოსახლეობის ყველა ფენა ამ მდგომარეობას გაგებით ხვდებოდა და ხვდება ხოლმე.

დარწმუნებული ვართ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ოლიმპიური თამაშებისათვის თითქმის ორი წლის მანძილზე მოსამზადებლად და მასში წარმატებით გამოსვლისათვის მიზნობრივად გამოყოფილ 2,5-3 მილიონ დოლარის ექვივალენტის ლარის (რომელიც ბიუჯეტის მხოლოდ 0,2 პროცენტია) გამოყოფას ჩვენთანაც გაგებით შეხვდებიან.

დღეს სხვა გადაწყვეტილების მიღება სერიოზულ ზიანს მოუტანს ქართულ სპორტს, ოლიმპიზმს, მორალურ ტრავმას მიაყენებს სპორტსმენებსა და მწვრთნელებს.

თუ სახელმწიფო ვერ შეძლებს, ან არ მოინდომებს დღევანდელი საქართველოსათვის აუცილებელ ამ სახელმწიფოებრივი და პატრიოტული საკითხის მოგვარებას, მაშინ დარჩენილია მხოლოდ ერთი გზა — საქართველოს სპორტსმენებმა დახმარებისთვის პირდაპირ, ხელისუფლების გვერდის ავლით, მიმართონ საქართველოს მოსახლეობას.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სესიის მონაწილენი ჯერ კიდევ იმედოვნებენ, რომ სპორტისა და ოლიმპიზმისადმი სიყვარულსა და პატივისცემას ისინი, რომელთა ხელშიცაა სპორტისადმი დახმარების გაწევის ბერკეტები, დაამტკიცებენ არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმით.

**მიღებულია სეოკ-ის სესიაზე**
**1998 წლის 23 დეკემბერს**

# ჩემი, შენი, ჩვენი...

## სესიაზე სათქმელი

**აგერ, ახლა, ფოიეში, ერთი ჩვენი სახელოვანი სპორტსმენი არანაკლებ სახელოვან მეორე სპორტსმენს უამბობდა — საზაფხულო შარვლის ჯიბეში როდის ჩარჩენილი ორმოცდაათთეთრიანი შემთხვევით რომ არ მეპოვა, სესიაზე ვერ მოვიდოდი, გზის ფული არ მქონდაო. სამწუხაროდ, ასეთი ამბებით დღეს ვერავის გააკვირვებ და გულს ვერ აუჩუყებ**

ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, რომლის პირველ ოლიმპიურ ჩემპიონს, პურის ფული რომ დაინარჩუნოს და სიცოცხლე გაიხანგრძლივოს, ოლიმპიური ოქროს მედლის გაყიდვა განუზრახავს.

ჩვენ იმ ქვეყანას წარმოვადგენთ, რომლის ყველა დროის საუკეთესო სპორტსმენი სამშობლოდან ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით გადახვეწილა.

ჩვენ იმ ქვეყნის მოქალაქეები ვართ, რომლის დღევანდელ უძლიერეს სპორტსმენს სამშობლოში არ ედგომება და თვალი უცხოეთისკენ უჭირავს.

სამწუხაროდ, დღეს ამგვარი ამბებიც არავის უკვირს.

ასეთია ჩვენი დროის სევდიანი სურათი, მაგრამ ჩვენ სხვა დროც გვახსოვს და სხვა რამაც ვიცით: საქართველო 31 ოლიმპიური ოქროს მედლის პატრონი ქვეყანაა. უფრო მეტის, ვიდრე ვთქვათ, საბერძნეთი, ესპანეთი, თურქეთი, არგენტინა და კიდევ ასზე მეტი სახელმწიფო.

ქართულ სპორტს დიდი წარსული აქვს და შეუძლებელია არ ჰქონდეს მომავალი.

და ეს მომავალი, უწინარესად, სპორტში მოღვაწე ადამიანთა ხელშია — სხვადასხვა ასაკისა და გამოცდილების, დამსახურებისა და თანამდებობის, მაგრამ ერთ დიდ საქმეში ჩაბმულ ადამიანთა ხელში.

ნურავინ იტყვის, მე რა შემიძლია, ვინ რას მეკითხებაო.

ნურავინ დაიჩემებს, მხოლოდ მე შემიძლია, მარტო მე მეკითხებაო.

სპორტს სჭირდება თითოეული ჩვენგანი, რიგითი მსახურიც და დიდმოხელეც.

შეცდომაა, როცა წარუმატებლობას ყველას და ყველაფერს ვაბრალებთ, საკუთარი თავის გარდა.

სწორია, როცა მიზეზებს უპირველესად საკუთარ თავში ვეძებთ.

დააკვირდით: გამარჯვებას (რაც ასე იშვიათი და სანატრელი გაგვიხდა) ათასი ავტორი გამოუჩნდება, მარცხზე პასუხისმგებლები კი არსად ჩანან.

არადა, პასუხს ყველანი ვაგებთ:

მწვრთნელი, რომელიც საქმეს ცუდად უძღვება.

ფედერაცია, რომელიც საქმეს ვერ უძღვება.

კომიტეტი, რომელიც ითხოვს იქ სადაც უნდა მოითხოვოს.



სეოკ-ის სესიის სხდომათა დარბაზში

დეპარტამენტი, რომელიც მოითხოვს იქ სადაც უნდა ითხოვოს.

პრესა, რომელიც არაფერს ითხოვს და არც მოითხოვს.

ჩვენ ბევრს ვსაუბრობთ ფალსიფიცირებულ ღვინოზე, არაყზე, კონიაკზე და ა.შ. მაგრამ არსებობს ფალსიფიცირებული ინფორმაციაც. უხერხულია, როცა ვცდილობთ მეორე და მესამეხარისხოვან შეჯიბრებებზე მოპოვებული მედლები ბაჯაღლო ოქროდ გავასაღოთ. უხერხულია ამგვარი ფალსიფიკაციის ტირაჟირებაც.

ნახევარსიმართლეს ისევ უთქმელობა სჯობს. ჩვენ ვამბობთ, რომ ქართული სპორტის განვითარებას აფერხებს უსახსრობა და აქედან გამომდინარე ყველა უბედურება, მაგრამ ჩვენ ვერიდებით არანაკლებ სერიოზულ მიზეზებზე საუბარს.

მაგალითად იმაზე, რომ ხშირად უწყებრივ ინტერესებს საერთო ინტერესებზე მაღლა ვაყენებთ. ჩვენ დავიყავით ფედერაციებად, ასოციაციებად, საზოგადოებებად, კომიტეტებად, პარტიებად (უკვე სპორტსმენთა ორი პარტია არსებობს) და ამაში ცუდი არაფერია. ცუდი და სამწუხარო ის არის, რომ საერთო ენის გამონახვა გვიჭირს. არადა, დასადგენი და გასამიჯნია ფუნქციები. გასარკვევია, სად მთავრდება ერთის უფლებები და სად იწყება მეორის.

საქართველო იყო ის ქვეყანა, სადაც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, პირველად დაიწყო სერიოზული რეფორმები სპორტში, სპორტის დეპარტამენტი იყო ის ორგანიზაცია, რომელიც ამ რეფორმების ინიციატორად მოგვევლინა; კახი ასათიანი იყო ის კაცი, ვინც სათავეში ედგა ამ რეფორმას. ჩვენ ვართ ის ხალხი, ვინც ეს რეფორმა ბოლომდე ვერ მიიყვანა.

თუ ჩვენ ამას ვაღიარებთ, საქმეს კიდევ ეშველება. ფედერაცია ფედერაციას დაემსგავსება, ასოციაცია ასოციაციას, ოლიმპიური კომიტეტი კი მხოლოდ სათნოების სახლის ფუნქციით, ლოზანიდან მიღებული ჰუმანიტარული დახმარების განაწილებით არ შემოიფარგლება. მაშინ ოლიმპიურ ორდენებთან ერთად, როგორც ადრე იყო, ოლიმპიური მედლებიც მოგვიმრავლდება.

უნდა დავიწყოთ იმით, რომ დავით ციმაკურიძეს მედლის გაყიდვა გადავაფიქრებინოთ, ელდარ კურტანიძეს — უცხოეთში წასვლა, ვიქტორ სანეევი კი, თუნდაც ორი-სამი კვირით, სამშობლოში ჩამოვიყვანოთ.

და ეს ყველამ ერთად უნდა გავაკეთოთ. იმის მიუხედავად, ვინ რითი მოვიდა ამ სასახლემდე — ლიმუზინით, ფეხით თუ ძველი შარვლის ჯიბეში ნაპოვნი ხურდა ფულით.

**ელგუჯა ბერიშვილი**
**საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი**

საჩოგბურთო პორტრეტი ინტერიერში

# მარტინა ნავრატილოვა

## ყველაზე ცნობილი ლესბოსელი

**მარტინა ნავრატილოვას მიღწევებზე საუბარი შორს წაგვიყვანს. პრაღაში 1956 წლის 18 ოქტომბერს დაბადებულმა ჩოგბურთელმა თავისი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე დიდი სლემის ოთხივე ტურნირის მოგება მოასწრო, თანაც ერთეულებშიც და წყვილებშიც, სარეკორდო რაოდენობის 167 პირველობაზე იმარჯვა, სარეკორდო რაოდენობის 1432 მატჩი მოიგო, 331 კვირა კლასიფიკაციას სათავეში ედგა და მსოფლიოს უდიდესმა გამოცემებმა 80-იანი წლების საუკეთესო ქალ სპორტსმენადაც დაასახელეს.**

**თუმცა ნავრატილოვა პირად ცხოვრებაშიც მეტად გამორჩეული ვინმე გახლდათ ჯერ ერთი, 1981 წელს სოცბანაკზე ჩამოფარებულ რკინის ფარდას თავი დააღწია და ამერიკის მოქალაქეობა მიიღო, მეორეც, თავისუფალ საზოგადოებაში გადაბარგებულმა თავისი სექსუალური ორიენტაციის შესახებაც თავისუფლად განაცხადა და ერთ-ერთი პირველი ვარსკვლავი სპორტსმენი შეიქნა, რომელმაც საკუთარი ჰომოსექსუალიზმი აღიარა.**

**ზემოთქმულის გამო ჩოგბურთელს მასმედიასთან მაინცდამაინც ტკბილი ურთიერთობა არ აკავშირებს და ინგლისელ ჟურნალისტ მერიენ მაკდონალდსაც მასზე სტატიის დასაწერად გვარიანი დაბრკოლებების გადალახვა მოუხდა.**



მარტინა ნავრატილოვასთან შეხვედრა წინააღმდეგობებით აღსავსე მარათონს წააგავს — პირადი აგენტი, წინ და უკან რეკვა, ფაქსების გზავნა. როდესაც მისი ხალხი ბოლოს და ბოლოს ინტერვიუზე თანხმდება, მე მხოლოდ ნახევარი საათი მეძლევა ბალტიმორში, სადაც იგი ვირჯინია სლიმზის ლეგენდების ტურნირზე მონაწილეობს. ვკითხულობ, მეტ დროს არ დამითმობს-მეთქი? და შემაშფოთებელ პასუხს ვღებულობ — „კი, თუ მას კითხვები მოეწონება". ღმერთო ჩემო!

როდესაც „ბალტიმორ არენაზე" შევდივარ, მარტინა პემ შრაივერთან ერთად ვარჯიშობს. ტრიბუნებზე თითქმის არავინ არის, პროჟექტორებიც გამორთულია.

ნავრატილოვა დიდი სპორტიდან ოთხი წლის წინ წავიდა და მაშინაც კი, 37 წლისა, მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი, საერთაშორისოდ აღიარებული და პატივცემული, ალბათ, პლანეტის ყველაზე ცნობილი ლესბოსელიც გახლდათ. რა მოელის ფარდის დაშვების შემდეგ მას, ვინც პატარაობიდან თავს ჩოგბურთს მიუძღვნის და დიდებასაც მიაღწევს?

მის ცხოვრებას ბულვარული პრესა ახლაც დიდ ადგილს უთმობს. ასე რომ, ვიცი, საქველმოქმედო ტურნირებში მონაწილეობს, ლიზ ნიკოლსთან ერთად სამი საჩოგბურთო ტრილერი დაწერა (თუმცა მათში თავის დიდ დამსახურებას ვერ ხედავს), ცხოვრობს კოლორადოში, ასპენში, ჰყავდა გელფრენდები, მოგზაურობდა აფრიკაში. რას აკეთებდა ამის გარდა?

— უკანა პლანზე გადავინაცვლე — მპასუხობს იგი.

ერთი საათის შემდეგ ჩვენ გასახდელში, სარკის წინ ვსხედვართ. იგი მარწყვებს ნთქავს — ვუყურებ თეთრი კბილები როგორ ეფლობა წითელ მასაში. მაინცდამაინც არ არის დაინტერესებული ამ შეხვედრის. მარტინას არ უყვარს, როდესაც მისგან ინტერვიუს იღებენ.

— წელიწადში ერთ-ორ ინტერვიუს ვიძლევი — უკვე მითხრა უხერხული ღიმილით — არც კი ვიცი, ამაზე რატომ დავთანხმდი. ვიფიქრე, იქნებ, რაიმე კარგი გამოვიდეს-მეთქი.

მან იცის, ძალიან მაინტერესებს, პროფესიონალური კარიერის დამთავრება მძიმედ ხომ არ გადაიტანა, მარწმუნებს, არაფერი ამის მსგავსიო... თუმცა ბოლომდე მაინც არ ვუჯერებ — როცა შევეკითხე, პენსიაზე გასვლის შემდეგ უფრო ბედნიერად თუ გრძნობთ თავს-მეთქი, ყოყმანის შემდეგ მიპასუხა:

— პირადად კი. პროფესიონალურად, იმას ვგულისხმობ, ბევრი... არაფერი გამიკეთებია — ვეჭვობ, ამდენი თავისუფალი დრო აბნევს.

ახლოდან ნავრატილოვა ძალიან განსხვავდება იმ იმიჯისაგან, რაც სურათებმა შეიძლება შეგიქმნათ. მახინჯსათვალიანი, სწორთმიანი, ძვალტყავა არსების ნაცვლად ხელში მიმზიდველი ქალი შეგრჩებათ — ფართო და სწორი ნაკვთებით, ღრმა სიცილით და აშკარად გამოკვეთილი ინდივიდუალობით.

მარტინას ოდნავ შესამჩნევი გერმანული აქცენტი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ კითხვებზე პასუხის გაცემის დროს პაუზებს აკეთებს, რათა გაგრძნობინოს, რომ ამას ხალისით არ აკეთებს, ის გულწრფელობა, რეკლამებში მილიონები რომ დააკარგვინა, როცა საკუთარი ლესბოსელობის შესახებ განაცხადა, ახლაც შესამჩნევია (შემეძლებოდა ასე კარგად თამაში, ისევ ტყუილში რომ მეცხოვრა? — კითხულობს იგი). თუმცა მისი ქონება სპორტიდან წასვლისას მაინც შთამბეჭდავად გამოიყურებოდა — 22 მილიონი დოლარი.

— ჩოგბურთის თამაში ახლა გაცილებით, გაცილებით სასიამოვნოა. თურმე წასვლამდე ვერც ვხვდებოდი, რამხელა დაძაბულობას მოითხოვდა ეს ჩემგან.

— რაშია განსხვავება?

— თავისუფლება! თავისუფლება! როგორც იქნა ჩემთვისაც მოვიცალე. მხოლოდ ახლა მივხვდი, თუ რამდენი მიჰქონდა ჩემგან ჩოგბურთის თამაშს, დრო აღარ მრჩებოდა, პირადი ურთიერთობებისთვის, საყვარლებისთვის, მეგობრებისთვის, ოჯახისთვის. ამისთვის ენერგია აღარ მქონდა.

ყველაფერი კი დიდი ხნის წინ დაიწყო, ჩეხეთში, როდესაც 8 წლის მოკლედ შეკრეჭილმა ლლაპმა, ყველას ბიჭში რომ ეშლებოდა, გადაწყვიტა, ჩოგბურთი მისი ცხოვრება გამხდარიყო. დედამ ამ წამოწყებას მხარი დაუჭირა, მამინაცვალი კი თავისი მოპედის უკანა საჯდომზე ტურნირებზე დაატარებდა. ცხრა წლისას პირველი მწვრთნელი გამოუჩნდა და სერიოზული ვარჯიშიც დაიწყო.

თავიდანვე ნათელი იყო, რომ მარტინა უაღრესად ნიჭიერი იყო. კრის ევერტი, მარტინას ლეგენდარული მეტოქე, იხსენებს: „იგი ჯერაც თინეიჯერი იყო, მაგრამ ისეთი ძლიერი ცაცია მოწოდება ჰქონდა, შოკირებული დავრჩი. შევამჩნიე ისიც, რომ ძალიან ემოციური იყო და კორტზე ბევრს და ხმამაღლა წუწუნებდა".

იმ დროისათვის ორი წლით უფროსი ევერტი უკვე საყოველთაოდ ცნობილი იყო, ნავრატილოვა კი ჯერ არაფერს წარმოადგენდა. ევერტი, როგორც ყოველთვის, მაშინაც ქერა, ლამაზი და მიმზიდველი იყო. „კრისი ყველაფერი იმის განსახიერება იყო, რაც მომწონდა ამ ქვეყანაში: შესაძლებლობები, ფული, სტაბილურობა, სტილი" — აღნიშნა ერთხელ მარტინამ.

ერთი წლის შემდეგ ნავრატილოვა ამერიკაში გაიქცა. ძველ ქვეყანაში იგი პერსონა ნონგრატა გახდა, ახალში კი თითქმის მარტო აღმოჩნდა — მწვრთნელის, ოჯახის გარეშე. ამ ეტაპზე მარტინას ყავისფერი თმები და მრგვალი სახე ჰქონდა, იტაცებდა ოქრო, ძვირფასი ქვები და კორტზე საკუთარ ემოციებს საერთოდ ვერ აკონტროლებდა.

ოთხი წლის შემდეგ ამერიკაში მისი დედა და მამინაცვალიც გადაბარგდნენ, ტეხასში მარტინამ მათ სახლი უყიდა. მაგრამ დასავლეთი მათ არ მოეწონათ, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც აღმოაჩინეს, რომ ქალიშვილს ლესბოსელ მწერალ რიტა მეი ბრაუნთან რომანი გააჩაღებინა.

ცხარე კამათის დროს დედამ ნამდვილი მამის შესახებ სიმართლე გაუმხილა, წარუმატებელი სასიყვარულო თავგადასავლის გამო თავი მოიკლაო და მასაც იგივე დასასრული უწინასწარმეტყველა, თუ თავის ლესბოსელობას ვერ მოერეოდა. მშობლები ჩეხეთში დაბრუნდნენ.

მარტინა კი მიდგა და ჩოგბურთის ისტორიაში ყველაზე მეტი — 167 ტურნირი მოიგო ერთეულებში, მათ შორის 18 დიდი სლემის; სარეკორდოდ, ცხრაჯერ იმარჯვა უიმბლდონზე და ყველაზე ხანგრძლივი, 74 მატჩისგან შემდგარი გამარჯვებათა სერიაც მიითვალა. ალბათ, იმიტომ, რომ დედისთვის საწინააღმდეგო დაემტკიცებინა, ან იმიტომ, რომ მამის დაძაბულ, დეპრესიულ ხასიათს უკეთესი გამოსავალი მოუძებნა.

არადა, გზა წარმატებისკენ მისთვის გაცილებით უფრო რთული იყო. პრესა აშკარად ცუდად ექცეოდა — ქალი, რომელიც თავისი მაისურებითა და კუნთებით ასე მამაკაცურად გამოიყურებოდა, ბევრს არ ეხატებოდა გულზე, უძნელდებოდა არჩევანი თავის მოწოდებასა და საყვარლებს შორისაც, რაც ხშირად მტკივნეულად მთავრდებოდა.

ჩოგბურთის არჩევა, როგორც მარტინა აღნიშნავს ამჟამად, „იმის აღიარება იყო, რომ უკეთესი ურთიერთობის შესაძლებლობა არ არსებობდა... მაგრამ მე მეგონა, ყველაფერი წესრიგში იყო, რადგან ვერ ვხვდებოდი, რომ ბევრ რამეზე თავად უნდა იზრუნო".

ამის შესახებ ბევრი მისი ყოფილი გელფრენდიც აღნიშნავს. ჯუდი ნელსონი, ნავრატილოვას „მეუღლე" შვიდი წლის მანძილზე ამტკიცებს: „ჩოგბურთის კორტზე იგი თამამი, უშიშარი ჩანდა. კორტის გარეთ კი ყველანაირ პასუხისმგებლობას უფრთხოდა. ამ როლისთვის მას პარტნიორი სჭირდებოდა".

ნელსონის თქმით, იგი თავად აგვარებდა მგზავრობის, საკვების დეტალებს: ნავრატილოვას საუზმედ შვრიის საგანგებო რეცეპტით მომზადება სჭირდებოდა, რომელიც თითოეული სასტუმროს სამზარეულოს გადაეცემოდა; ლეიბი, რომელიც ერთი საწოლიდან მეორეში გადადიოდა; ტრანსპორტი მისი საყვარელი ძაღლებისთვის; ვიზიტები კბილის ექიმთან. შობა მათ ასპენში დონ ჯონსონთან და მელანი გრიფიტთან ერთად გაატარეს. მარტინა პრინცესა დიანას ეთამაშა.

მერე კი მან ფსიქოლოგთან დაიწყო სიარული.

— მე ეს მჭირდებოდა — ამბობს ნავრატილოვა — რომ ყველაფერს შევგუებოდი, თავი უკეთ მეგრძნო. არამარტო მე, უბრალოდ... სხვა რამეებზეც. წესიერად არაფერს ვუფიქრდებოდი. ყოველთვის ვამბობდი, „კარგი, ამას მოგვიანებით მივხედავთ", მაგრამ ეს „მოგვიანებით" არასოდეს მოდიოდა. მე ისევ იგივე შეცდომებს ვუშვებდი.

ერთ-ერთ შეცდომად ნავრატილოვას ალბათ, ჯუდი ნელსონი მიაჩნია, რომელმაც 1991 წელს დაშორების შემდეგ ქონების ნახევარზე უჩივლა; მათი ურთიერთობის უდარდელ პერიოდში მარტინას თანაცხოვრების შეთანხმებაზე მოუწერია ხელი, რაც ნელსონის თავდაპირველ მოტივებსაც კი ეჭვის ქვეშ აყენებს.

ნავრატილოვას არ სურს ნელსონზე საუბარი, მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ მასთან დაკავშირებას ნამდვილად აღარ აპირებს („თურმე იმდენჯერ უნდა ჩაგარტყან თავში, სანამ „საკმარისიას" თქმას მიხვდები").

მაგრამ ყველა პირად დანაკარგს თუ დავივიწყებთ, ნანობს იგი კარიერის დამთავრებას? ერთი მხრივ, მას აშკარად მოსწონს თავისუფალი ცხოვრება. მეორე მხრივ, ჩოგბურთიდან წასვლა ფულის, ქომაგთა სიყვარულის, თამაშის დასასრულსაც ნიშნავდა. როგორც ამბობენ, ტურზე გატარებული ბოლო სეზონი, როცა 1994 წლის უიმბლდონის ფინალში კონჩიტა მარტინესთან დამარცხდა, მას აშკარად ემძიმებოდა.

— ფიზიკურად კიდევ შემეძლო თამაში, მაგრამ გული დაღლილი მქონდა. ყველაფერი ძალიან იმედგამაცრუებელი იყო. ისევ ბევრს ვვარჯიშობდი, მაგრამ კორტზე არაფერი მეტყობოდა, ძირითადად ასაკის გამო. თამაშის სურვილი გამიქრა, რაღაც სხვა რამის გაკეთება მინდოდა.

— ჩოგბურთმა რამენაირად შეაფერხა მისი განვითარება?

— კი. ვფიქრობ, ემოციურად ჩვენ ყველანი... არა, ჩამორჩენილნი არ ვართ, მაგრამ უფრო ნელა ვიზრდებით. შემეგ კი სწრაფად ვიმატებთ, დიდი ნაბიჯებით... თუმცა, ალბათ, ყველა სპორტსმენი ასეა. ჩვენ ყველანი გაფუჭებულ და ეგოისტ ბავშვებს ვგავართ.

თუმცა ეს შეიძლება ცოტა გადაჭარბებულიც იყოს: მარტინა აღიარებს, რომ იგი ძალიან თვითკრიტიკულია. თანაცხოვრების შეთანხმებაც ხომ მისი კეთილშობილების გამოხატულებაა. ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ ნავრატილოვას კონტრაქტზე შრაივერმაც მოაწერინა ხელი, რომლის მიხედვითაც ისინი მუდმივ მეწყვილეებად უნდა დარჩენილიყვნენ (ის, რომ კონტრაქტი ხელსახოცზე იყო შედგენილი და ვითომდა ხუმრობას წარმოადგენდა, მის ძალას სულაც არ ამცირებდა).

როდესაც შტეფი გრაფის შეშლილი თაყვანისმცემლისგან დაჭრილი მონიკა სელეში დეპრესიაში იყო, იგი ნავრატილოვამ მოინახულა და უთხრა, რომ ტურზე დაბრუნებით ყველას გაახარებდა, თან ოქროს სამაჯური აჩუქა: „ო, მე კეთილი გული მქონდა, მაგრამ ბევრი სხვა რამის შესახებ არაფერი ვიცოდი" — ამბობს იგი.

ამაყობს იმით, რასაც ცხოვრებაში მიაღწია?

— შეიძლებოდა, მეტიც გამეკეთებინა, ან იქნებ გაცილებით ნაკლებიც. მგონი, საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს მივაღწიე, გარემოებათა გათვალისწინებით. მაგრამ ყველაფრის თავიდან დაწყების შანსი რომ მქონოდა, სხვანაირად მოვიქცეოდი. მაგალითად, მწვრთნელს ამერიკაში ჩამოსვლისთანავე ავიყვანდი და ფსიქოლოგიურად, ემოციურადაც უკეთ მოვემზადებოდი.

— როგორ?

— ამის გაკეთება უბრალოდ ხალხთან საუბრითაც შეიძლებოდა, ფსიქოლოგთან სიარულით. მეტ ყურადღებას დავუთმობდი პირად ურთიერთობებს, იოგას. თუმცა შეიძლება ვცდებოდე. იმისთვის რომ სრულყოფილებას მიაღწიო, ეგოისტი უნდა იყო და ხელი არაფერს შეაშლევინო, ცოტა ადრე რომ დამეწყო, კარიერას უფრო ადრეც დავამთავრებდი. ნებისმიერ შემთხვევაში, მე არაფერს ვნანობ.

და რას ფიქრობს იგი ჩოგბურთის ახლანდელ მდგომარეობაზე?

— მგონი, ყველაფერი კარგადაა. ამბობენ, თითქოს ჩოგბურთი მოკვდაო. ნუ, ამის თქმა აშშ-ზე შეიძლება, მაგრამ მსოფლიოს სხვა ნაწილებში იგი პირიქით, სულ უფრო პოპულარული ხდება, უბრალოდ, ამერიკა ძალიან პროვინციულია, აქ მსოფლიოს მხოლოდ აშშ-ში ხედავენ. ქალებს შესანიშნავი ახალი თაობა ეზრდებათ — ვინუსი, სერენა (უილიამსები). მართალია, სერენა ჯერ კიდევ არ არის იმ დონეზე, მაგრამ იმედია, მალე მოუმატებს; კურნიკოვა, რა თქმა უნდა, ჰინგისიც.

როდესაც მარტინას შევეკითხე ქალთა ჩოგბურთის ახალ თაობას თავის დროზე თუ გაუწევდა კონკურენციას, იგი შესამჩნევად გამოცოცხლდა. „ო, ეს საინტერესო იქნებოდა, გამოუშვით, მე მზად ვარ".

არ მინდა ჩვენი შეხვედრა ისე დასრულდეს, რომ სექსუალური ორიენტაციის შესახებ არაფერი ვკითხო, მით უმეტეს, დარწმუნებული ვარ, ეს საკითხი ბევრს გაცილებით მეტად აინტერესებს, ვიდრე მარტინას საჩოგბურთო მიღწევები. როგორც ვიცი, ერთ-ერთი ვეტერანთა ტურნირის დროს აშშ-ში პიკეტებიც კი მოუწყვეს მისი „განსხვავებულობის" გამო.

— მომავალი, ისტორია მათ უსამართლობას დაამტკიცებს. ისინი ფარად ბიბლიას იყენებენ, მაგრამ ბიბლიით ამართლებდნენ მონობასაც, ფერადკანიანების დისკრიმინაციასაც. მეუბნებიან, რომ მორალურად ცოდვილი ვარ, მაგრამ როდის აქეთაა აკრძალული სხვა ადამიანის სიყვარული, რომელსაც ამასთან იგივე უფლებები აქვს, რაც შენ?

ვეკითხები, ხომ არ ნანობს, რომ თავისი ლესბოსელობა არ დამალა?

— რა თქმა უნდა, არა. პირიქით, ყველას ვურჩევ, რომ იყვნენ გულწრფელი საკუთარი თავის მიმართ, არაფერი დაუმალონ მეგობრებს, ოჯახის წევრებს. ჩვენ ვერ მოვთხოვთ საზოგადოებას, მიგვიღოს, თუ საკუთარ თავს არ მივიღებთ. ყველას ურჩევნია, „ცისფრები" საკუჭნაოში დარჩნენ, მათთვის ჩვენს შესახებ არცოდნა უფრო მოსახერხებელია, მაგრამ ასე პრობლემას ვერაფრით მოვაგვარებთ. მე არავის ვიცნობ ისეთს, რომელსაც ყველაფერი ეღიარებინოს და ნანობდეს.

მარტინას მიაჩნია, რომ მართალია საკუთარი თავის წინაშე, მომავალსაც იმედით უყურებს. მას სურს, ჰყავდეს, ან იშვილოს ბავშვი და იგი თავის, აგერ უკვე ოთხი წლის გელფრენდთან, დანდა იაროლიმეკთან ერთად აღზარდოს.

როგორ აპირებს ამის გაკეთებას? (როგორც ამბობენ, მან იტალიელი ექიმი მოინახულა, რომელიც დაორსულებაში 62 წლის ქალს დაეხმარა).

— ო, ამის შესახებ საუბარი არ მსურს.

მაგრამ ბავშვს ნავრატილოვა, ალბათ, ევროპაში გაზრდის. ეს-ესაა მან ბარსელონასთან ახლოს სახლი იყიდა.

ურჩევნია, რომ გოგონა ჰყავდეს?

— ცხოვრების დიდი ნაწილი ქალების გარემოცვაში გავატარე და მაინცდამაინც ბევრი კაცი მეგობარიც არა მყავს, ასე რომ, ქალების გაცილებით მეტად გამეგება. თუმცა ამას მნიშვნელობა არა აქვს.

მარტინა უსიამოვნოდ იშმუშნება, მაგრძნობინებს, რომ უკვე საკმარისი დრო დამითმო — ჩვენ ზუსტად ნახევარი საათი ვისაუბრეთ. მეც ვემშვიდობები და ცოტათი დაბნეული მოვდივარ, იგი კარს აღებს, თანაც ხელში რაღაც უჭირავს.

— მერიენ? — მეძახის — მგონი, ჩანთა დაგრჩა.



თარგმნა
**ავთანდილ სვანიძემ**

იუგოსლავიის ქალაქი ნოვი სადი 28 დეკემბრიდან 5 იანვრის ჩათვლით სტუდენტ ხელბურთელ ვაჟთა XV მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. დღეს ბალკანეთს ქართველი ხელბურთელებიც გაემგზავრნენ ზაზა დოლიძის თაკაცობით. ჩვენი სტუდენტები სამსოფლიოსჩემპიონატოდ ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში ემზადებოდნენ. გუშინ ნაკრების ვარჯიშს თვალყური ვადევნეთ და მერე მთავარ მწვრთნელ ზაზა დოლიძესაც გავესაუბრეთ

# სტუდენტები გამოცდებს ნოვი სადში ჩააბარებენ



საქართველოს სტუდენტ ხელბურთელთა ნაკრები

— სტუდენტთა მსოფლიოს ჩემპიონატი ათწლიანი შესვენების შემდეგ მეთხუთმეტედ გაიმართება. მოთამაშეთა ასაკი 28 წლამდეა განსაზღვრული, ამიტომაც ჩვენი გუნდი, ფაქტობრივად, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს წარმოადგენს. ნოვი სადში 16 ქვეყნის ხელბურთელები იასპარეზებენ. გუნდები 4 ჯგუფად არიან დაყოფილი. ჩვენი მეტოქენი რუმინეთი, უკრაინა და ნიგერია იქნებიან. ჯგუფის ორი საუკეთესო შემდეგ ეტაპზე გავა. წინდაწინ ვიცით, რომ იუგოსლავიაში საკმაოდ ძლიერი გუნდები ჩავლენ და ამიტომაც, ვფიქრობ, შეხვედრებიც დაძაბულად წარიმართება. ჩვენს მეტოქეებზე ბევრი არაფერი ვიცით, რუმინეთსა და უკრაინას სახელბურთო სამყაროში სახელი აქვთ დაგდებული, აი, ნიგერიელები რას წარმოადგენენ, ამაზე ვერაფერს ვიტყვი. ერთსაც აღვნიშნავ, ჩვენი გუნდის ყველა წევრი ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტია.

**— ნაკრებს ლეგიონერები თუ დაეხმარებიან?**

— ჩვენი სამივე ლეგიონერი, ტიტე კალანდაძე, ალექსანდრე ბოყრჩაძე და გარი თურქია იუგოსლავიის მეზობლად, მაკედონიაში თამაშობენ. ტიტე და ალეკო სკოპიერს „ვარდარისთვის" ირჯებიან და წარმატებითაც. მათი გუნდი ევროპის თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალში გავიდა. ჩვენებურები კარგ ფორმაში არიან და ნაკრებშიც ვუხმეთ. ბიჭები ოცდახუთში შემოგვიერთდებიან ბელგრადში, სადაც ჩემპიონატის დაწყებამდე სამ ამხანაგურ მატჩს გავმართავთ იქაურ კლუბებთან.

**— სტუდენტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად შესარჩევი ტურები არ გაგივლიათ. რა დამსახურებისთვის მიიწვიეს საქართველოს ნაკრები ჩემპიონატის ორგანიზატორებმა?**

— იუგოსლავიაში თამაში 26 ქვეყანამ ისურვა, მაგრამ, როგორც გითხარით, იქ მხოლოდ 16 გუნდი იასპარეზებს. ქართველებს სხვებზე უკეთესი რეიტინგი გვქონდა და ამიტომ მიგვიწვიეს.

**— სერგო დათუკაშვილზე მინდა გკითხოთ. იგი ახლახან დაბრუნდა გერმანიიდან, სადაც ერთი თვე სტაჟირებაზე იმყოფებოდა.**

— სერგო გერმანიაში წაიყვანა ჩვენმა სახელოვანმა ხელბურთელმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ალექსანდრე ანპილოგოვმა, რომელიც ამჟამად იქ საქმიანობს — ერთ-ერთი გერმანული კლუბის, ოღონდ ჩვენებურ ლანჩხუთში არ აგერიოთ — „ლანცხუტის" მწვრთნელი.

სერგომ იქაურ ჩემპიონატშიც ითამაშა და სპეციალისტთა ყურადღებაც მიიპყრო. მისით წარსულში ცნობილი რუსი ხელბურთელი, ასევე ოლიმპიური ჩემპიონი იური კლიმოვი დაინტერესდა იგი „ერლანგერის" მთავარი მწვრთნელია და დათუკაშვილიც თავისთვის შეუგულებია, თუმცა სერგოს გერმანიაში თამაში საბოლოოდ არ გადაწყვეტილა. ფრანგულ კლუბ „მონპელიეს" მენეჯერი ჩამოვა თბილისში და სერგოსთან ერთად სხვა ქართველ ხელბურთელებსაც დააკვირდება. შეიძლება ჩვენი ნაკრების რამდენიმე მოთამაშემ კარიერა სწორედ საფრანგეთში გააგრძელოს. სერგო დათუკაშვილი ამ მოკლე ხანში ნაკრების ერთ-ერთ ლიდერად მოგვევლინა და მისი ძალიანაც მჯერა.

**— მოდით, ისევ სტუდენტთა მსოფლიოს ჩემპიონატს დავუბრუნდეთ, როგორ მოემზადეთ საიუგოსლავიოდ და რა მიზნებს ისახავთ?**

— საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრის დასრულების მერე ცოტა ხნით შევისვენეთ, შემდეგ კი ბიჭები შევკრიბე და დიდუბის მძლეოსნობის მანეჟში დავიწყეთ მზადება ფიზიკურად მოსალონიერებლად. ჯანზე მოვედით თუ არა, ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში გადმოვინაცვლეთ და აქ განვაგრძეთ ვარჯიში. გუნდი კარგადაა მომზადებული და ხელბურთელებსაც ჯგუფიდან გასვლა დავუსახეთ მიზნად. მერე კი ვნახოთ...

**— იუგოსლავიაში გამგზავრებას ცოტა ფული არ დასჭირდებოდა...**

— რა თქმა უნდა. ჩემპიონატის მონაწილე გუნდს სათამაშო ფორმის მინიმუმ ოთხი კომპლექტი უნდა ჰქონდეს, თან საერთაშორისო კატეგორიის ორი არბიტრიც უნდა იახლოს ნოვი სადში. ფორმებზე და საჭირო პირობებზე საქართველოს ხელბურთის ფედერაციამ მისი პრეზიდენტის, თენგიზ გაზდელიანის თავკაცობით წინასწარვე იზრუნა. არბიტრები კი აღარ გვყავს. ვიცით, დაგვაჯარიმებენ და ამიტომაც თანხა თბილისიდან მიგვაქვს. როგორც ყოველთვის, ახლაც მხარში გვიდგას ტექნიკური უნივერსიტეტი და მისი რექტორი რამაზ ხუროძე.

**— ბატონო ზაზა, იმედია, ამ დღესასწაულს საკუთარ თავს და ქართული ხელბურთის ქომაგთ კარგი და წარმატებული თამაშით მოულოცავთ.** ბა-ახალწელს უცხო მხარეში შეხვდებით,

— ღმერთმა გისმინოთ, ჩვენი გამარჯვება მართლაც კარგი საჩუქარი იქნება ქართული ხელბურთისა და მისი გულშემატკივრისთვის.

ბოლოს კი ზაზა დოლიძემ ის ხელბურთელები დაგვისახელა, რომლებიც იუგოსლავიაში, სტუდენტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს სახელით ითამაშებენ:

მეკარეები — *როლანდ ერაძე, გიორგი ბუტიკაშვილი;*

ხაზის მოთამაშეები — *ირაკლი კეკელიძე, გიორგი გვაზავა;*

გამთამაშებლები — *ვახტანგ მეიფარიანი, ზაზა ფერაძე, გარი თურქია;*

კუთხის მოთამაშეები — *ალექსანდრე ბოყრჩაძე, გიორგი ქობელაშვილი, ანდრო ანდრიაშვილი;*

შუამარბები — *ტიტე კალანდაძე, სერგო დათუკაშვილი, ბექა ორჯონიკიძე, ლევან გელაშვილი, ომარ ყიფიანი.*

**სოსო ქოტორეიშვილი**



# დეტროიტს შერცხვენილსაც უფრთხიან

22 დეკემბერი

**დეტროიტი — ფინიქსი 2:6**

1:1 1:2 0:3

1:0 ლარიონოვი 11'54 (4); 1:1 ტკაჩუკი 14'13 (17); 1:2 დრეიკი 20'49 (6); 2:2 შენაჰანი 30'35 (10); 2:3 ილონენი 33'15 (3); 2:4 ნუმინენი 50'12 (7); 2:5 რენიკი 51'21 (11); 2:6 კორკამი 57'04 (3)

დალასთან მარცხი, ეტყობა, ისეთ ფსიქოლოგიურ დაღს ასვამს თასის მფლობელს, რომ ყოველი თამაშის შემდეგ მას გონს მოსასვლელად საკმაო ხანი სჭირდება. პარასკევს „ვარსკვლავებთან" შინაურ შეხვედრაში დეტროიტელები გამოუცდელ ახალბედებს ჰგავდნენ და ამას აგერ ფინიქსთან წაგებაც მიაყოლეს. ცხადია, სულაც არ გვსურს სტუმართა მოგების გაუფასურება, მაგრამ ისეთი მაღალი კლასის გუნდს, როგორიც დეტროიტია, სამარცხვინო ანგარიშით დამარცხება ნამდვილად არ ეპატიება, მით უმეტეს, საკუთარი ქომაგების თვალწინ. არადა, ორი პერიოდის განმავლობაში მასპინძლები მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდნენ და ხშირადაც ურტყამდნენ (მეორე მესამედში 18-ჯერ დაარტყეს), მაგრამ ილონენის გოლის შემდეგ თავდაჯერება დაკარგეს და სტუმრებსაც ადვილად დაეჩაგვრინნენ. ფინიქსელთაგან საუკეთესო კვლავ დრეიკ (1+2) — რენიკ (1+1) — ტკაჩუკის (1+1) სამეული იყო. განსაკუთრებით აღსანიშნავი კი რენიკის გოლია, რომელიც მან მეკარე კრის ოსგუდის მოტყუების მერე გაიტანა. უკვე თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ დასავლეთში კიდევ ერთი ძლიერი გუნდი ჩამოყალიბდა, თუმცა „კოიოტების" მწვრთნელის ჯიმ შონფელდის თქმით, ჩემპიონმა იცის, როდის უნდა მოიკრიბოს ძალა. ეს კი გაზაფხულზე მოხდება.

**კალგარი — ვანკუვერი 3:5**

1:2 1:1 1:2

0:1 მესიე 3'36 (11); 0:2 სკაჩარდი 8'50 (6); 1:2 ნიულანდერი 11'56 (1); 2:2 იგინლა 26'00 (12); 2:3 ოკუანი 34'21 (10); 2:4 ბრაშირი 42'33 (4); 2:5 იორკი 47'28 (3); 3:5 იგინლა 59'50 (13)

ვანკუვერის პირველ სამეულს მესამე წევრიც გამოაკლდა. ტოდ ბერტუცი და ალექსანდრ მოგილნი უკვე კარგა ხანია, არ თამაშობენ, ახლა კი პარტნიორების ხვედრი მარკ მესიემაც გაიზიარა. მე-4 წუთზე მან მარკუს ნესლუნდის პასი გოლად აქცია, მაგრამ დაეცა, ძელს შეეჯახა და ტვინის შერყევა მიიღო. თუმცა სტუმრები არ დაიბნენ და ჰარი იორკის (1+2) ძალისხმევით ტრავმირებული კაპიტანი მაინც გაახარეს.

**პიტსბურგი — ლოს ანჯელესი 0:3**

0:0 0:2 0:1

0:1 მიურეი 37'59 (14); 0:2 ციპლაკოვი 38'26 (7); 0:3 ოდეტი 54'06 (2)

დონალდ ოდეტი „მეფეთა" თილისმა ხდება. ლოს ანჯელესში გადასვლის შემდეგ მას ზედიზედ ორჯერ გააქვს და მისიანები ორჯერვე იგებენ, თანაც კლუბის მწვრთნელის ლარი რობინსონის აქტივში ეს მე-100 გამარჯვებაა. თუმცა ტორონტოელებთან განადგურებით ნირწამხდარი მასპინძლების ძლევა ისედაც იოლი იყო, თვით იარომირ იაგრიც კი ხშირად ცდებოდა (სწორედ მისი ერთ-ერთი შეცდომით ისარგებლა ოდეტმა).



ვანკუვერის ტვინშერყეული ლიდერი მარკ მესიე ორი წუთი უგონოდ იყო

**აილენდერსი — სენტ ლუისი 3:3**

2:2 0:0 1:1 0:0

1:0 ჩერკავსკი 10'51 (9); 2:0 ჩერკავსკი 14'59 (10); 2:1 პელერინი 15'15 (5); 2:2 რიზონერი 18'04 (3); 3:2 ლაპოინტი 50'32 (8); 3:3 გილი 54'14 (1)

მატჩის მიწურულს ტოდ გილის ზუსტმა შორეულმა დარტყმამ „ნასაუ კოლიზეუმის" გადაჭედილ ტრიბუნებს ხასიათი წაუხდინა, თუმც ნიუიორკელთა ქომაგები მაინც კმაყოფილნი დარჩნენ — როგორც იქნა, მათ ყინულზე იხილეს კლუბის ლიდერი ზიგმუნდ პალფი. მრისხანე ფორვარდმა პირველივე მატჩში გაამართლა. მართალია, სლოვაკმა თვითონ ვერ გაიტანა, მაგრამ მისი და ჩეხი რობერტ რაიხელის დუეტი უმალვე ათამაშდა (თავდამსხმელებმა ორ-ორი პასი მიითვალეს) და სწორედ მათი ძალისხმევის შედეგი გახლდათ, რომ მასპინძლები სულ წინ იყვნენ, მაგრამ საბოლოოდ „კუნძულელებმა" ფრე ითამაშეს.

**კოლორადო — ანაჰაიმი 0:1**

0:0 0:1 0:0

0:1 ნილსენი 25'10 (10)

ანაჰაიმის ძირითადი მეკარის შემცვლელმა დომინიკ რუსელმა 45 დარტყმა მოიგერია.

**სამველ ლარიბიანი**




აილენდერსის გულშემატკივრებმა, როგორც იქნა, მათი კლუბის ლიდერი ზიგმუნდ პალფი (16) იხილეს




REUTERS მოსკოვიდან

# დოლარს ზაიჩიკია?

ამას წინათ მოსკოვში უჩვეულო შოუ გაიმართა. რუსეთისა და ბელარუსის ვეტერანი ჰოკეისტები ამხანაგურ მატჩში შეხვდნენ ერთმანეთს. ამ მოვლენას საზეიმო ელფერი ბელარუსის პრეზიდენტის ალექსანდრ ლუკაშენკოს დასწრებამაც შემატა. იგი ჭაბუკობაში თავად თამაში და ჰოკეის, ახლაც ყურადღებას არ აკლებს ამ სახეობას და ჰოკეის სიყვარული ნაგანოს ოლიმპიადის დღეებში იმით გამოხატა, რომ სახელმწიფო საქმეები მიატოვა და ბელარუსის ნაკრების საქომაგოდ იაპონიაში გაემგზავრა. ამჯერად პრეზიდენტმა ახალგაზრდობა გაიხსენა და შოუში მონაწილეობა ისურვა. ცხადია, ყოფილ საბჭოელ ვარსკვლავთა პაექრობისადმი გულგრილი ვერც ამჟამად მოსკოვში მყოფი პაველ ბურე დარჩებოდა და უფრო სუსტ ბელარუსის ნაკრებს ყინულზეც დაეხმარებოდა, აშშ-დან ადვოკატებს რომ არ დაერეკათ და მისთვის თამაში არ აეკრძალათ. საქმე ისაა, რომ ფორვარდს ნჰლ-ის გარდა არც ერთ, თუნდაც არაოფიციალურ მატჩში მონაწილეობის უფლება არ აქვს. პაველიც რაღას გააწყობდა და გული იმითღა მოიფხანა, რომ ბელარუსის პრეზიდენტს მაისური გადასცა.

ახლა კი საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ბურე და ლუკაშენკო დამეგობრდებიან. არა, არ გეგონოთ, „რუსულ რაკეტას" ბელარუსულ მთავრობაში მიიწვევენ ანაც პრეზიდენტი თავის სავარძელს მოთამაშის კარიერაში გაცვლის. სულაც არა. უბრალოდ, მატჩის შემდეგ ლუკაშენკო ბურეს მის მოსკოვურ ბინაში ეწვია და ერთ-ერთ ბელარუსულ კლუბში თამაში შესთავაზა, ფულს არ დავიშურებთ და თუ მოისურვებ, სხვა ვარსკვლავებსაც მოვიწვევთო. ბურემ იგი დააიმედა — მოვიფიქრებო. ეტყობა, ლუკაშენკოს ბელარუსული ზაიჩიკები ამერიკული დოლარები ჰგონია (შეგახსენებთ, ბურეს კონტრაქტით სეზონში 8,5 მილიონი უნდა მიეღო)

# ქართველებმა რუსები გალახეს

გუშინ იაპონიიდან საბრძოლო ხელოვნების კლუბ „რინგს-საქართველოს" პრეზიდენტი ნოდარ ექვთიმიშვილი შეგვეხმიანა და ქართველ ათლეტთა გამარჯვების ამბავი გვამცნო. ტარიელ ბიწაძესა და ქართველ მოჩხუბართა ამქარს ამომავალი მზის ქვეყნის ქალაქ ფუკუოკაში „რინგსის" კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები უცემიათ. რუსთა ძლევის მერე ჩვენებურნი იქვე, იაპონიაში, ოღონდ იოკოჰამაში 19 იანვარს ჰოლანდიელებს შეერკინებიან. ქართველებს ამ ბრძოლის მოგებაც არ უნდა გაუჭირდეთ, მით უფრო, თუ იმასაც გავიხსენებთ, წლეულს, 11 ოქტომბერს, თბილისში სპორტის სასახლეში რა დღე აყარა ტარიელ ბიწაძემ ჰოლანდიელთა ყოჩს.

ნოდარ ექვთიმიშვილისაგან ერთი საინტერესო ამბავიც გავიგეთ, იანვარშივე „რინგსის" იაპონელ ვარსკვლავს მაიტა აკირას რუსთა ბეჭდაუდებელი ფალავანი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში ალექსანდრ კარელინი უპირებს ცემას და იაპონელი ჩხუბის გურმანებიც ამ ბრძოლის მოლოდინში არიანო.



ბადრი კეთილაძის ფოტო

ტარიელ ბიწაძე (მარჯვნივ) ჰოლანდიელის ცემას ნაჩვევია

# ჟუ თავგადაგდებული

*ეს სურათი არც უთავო მხედრის ახალი ვერსიის ილუსტრაციაა და არც რომელიმე ხელმარჯვე კომპიუტერის ოსტატის ნახელავი. უბრალოდ აზიის თამაშებზე ჩინელმა ტანმოვარჯიშე ჟუ ზიაოჟინმა თავი მეტისმეტად გამოიდო (ანუ უკან გადაიგდო) და დადარაჯებულმა ფოტოგრაფმა ტომ შლუკოვენიმაც დროულად დააჭირა თითი ღილაკს. რაც შეეხება ჟუს, თავგამოდება თავგადაგდების ფასად თამაშებზე ოქროს მედალი ერგო.*



REUTERS ვაშინგტონიდან

# კორდას მაინც აკუნტრუშებენ

ჩოგბურთის თავკაცების შემწყნარებლურმა სადოპინგო პოლიტიკამ სპორტის ამ სახეობას ერთ-ერთი გამორჩეული ვარსკვლავი, 30 წლის პეტერ კორდა შეუნარჩუნა — უიმბლდონზე ტესტში ჩაჭრილ ჩეხ ვეტერანს, რომელიც მომავალ სეზონში პენსიაზე გასვლას აპირებს, ავსტრალიის ღია პირველობაზე თავისი ტიტულის დაცვის ნებას მისცემენ.

კორდას დოპინგის აღმოჩენის შესახებ ჯერ კიდევ აგვისტოში აუწყეს — ინგლისელ ტიმ ჰენმანთან უიმბლდონის მეოთხედფინალში დამარცხების შემდეგ ჩატარებული ტესტით მას აკრძალული სტეროიდის ნანდროლონის ხმარება დაუდგინეს.

კორდამ ტესტის შედეგი ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ITF) სააპელაციო კომიტეტში გაასაჩივრა, იგი სამშაბათს განიხილეს და ჩეხს ანტისადოპინგო წესების დარღვევა ერთხელაც დაუდასტურეს: „კორდამ ჩოგბურთის ანტისადოპინგო პროგრამა უგულებელჰყო — მისი სინჯი ნამდვილად შეიცავდა ნანდროლონს, რომელიც აკრძალულ ნივთიერებათა პირველ კლასს მიეკუთვნება".



ITF-ის განცხადებაში ისიც იყო აღნიშნული, რომ სასჯელის სახით მას ტურნირზე მოპოვებული საკვალიფიკაციო ქულები და 94 529 დოლარის საპრიზო ჩამოერთვა, თუმცა: „დამატებითი სანქციები ჩოგბურთელს არ დაეკისრება. მან დაამტკიცა, რომ განსაკუთრებული გარემოებების გამო არ იცოდა, რომ მიიღო აკრძალული ნივთიერება და არც შეიძლებოდა სცოდნოდა ამის შესახებ".

ძნელი სათქმელია, რას გულისხმობს ITF განსაკუთრებულ გარემოებებში, შესაძლოა იმას, რომ მერვედფინალურ შეხვედრაში ჩეხმა საკმაოდ მძიმე ტრავმა მიიღო და ტკივილის გასაყუჩებლად და საწამლოდ უამრავი აბი გადაყლაპა, ერთ-ერთი, განზრახ ან შემთხვევით, ლამის საბედისწეროც გამოდგა.

ყოველ შემთხვევაში, თავად კორდა ახლაც თავის უდანაშაულობას ამტკიცებს — რა ვქნა, ყველა ღონე ვიხმარე, მაგრამ ვერაფრით დავადგინე აკრძალული ნივთიერება ჩემს სხეულში საიდან მოხვდაო: „კატეგორიულად მინდა განვაცხადო, რომ დოპინგი განზრახ არასოდეს მიმიღია და არც მსგავსი საშუალებით მიცდია ჩემს კოლეგებზე უპირატესობის მიღწევა. ბედნიერი ვარ, რომ კომიტეტი მენდო. ეს ბრალდება ჩემთვისაც და ჩემი ოჯახისთვისაც ძალიან მძიმე ასატანი გახლდათ".

ასე რომ, ჩეხი, რომელმაც თავისი პირველი დიდი სლემის ტურნირი წლეულს ავსტრალიაში მოიგო, იანვარში მელბურნში სეზონის პირველ ბობოლა პირველობას არ გამოტოვებს და ერთი კვირით ადრე მისთვის მოსამზადებლად სხვა, უფრო მცირე ჩემპიონატშიც იასპარეზებს.

„ჩვენ რაც შეგვეხება, ყველაფერი რიგზეა, პეტერს „კოლონიალ კლასიკშიც" აქვს დაგეგმილი თამაში და, სხვათა შორის, შარშანდელ ფინალში მარსელო რიოსის დამარცხების შემდეგ დოპინგზე იგი ჩვენც შევამოწმეთ და საგანგაშო ვერაფერი ვნახეთ" — აღნიშნა ავსტრალიის ღია პირველობის ერთმა წარმომადგენელმა.


## სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:** ილია ბაბუნაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:** ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი** გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე:** მერაბ რატიშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:** სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება:** კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
**კალათბურთის განყოფილება:** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე
**ინფორმაციის განყოფილება:** ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე
**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29